№ VII & VIII

შ ი ნ ა ა რ ს ი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I ყმაწვილი და ციყვი ლექსი—შ. მდივანელისა 3
II თოფ-ხმლის საუბარი მოთხრობა—დ. თუმანიშვილისა 5
III პატარა პუმის თავ-გადასავალი (თარგმანი)—კანარსი . . . 8
IV ყმაწვ-ლი და ფუტკარი ლექსი—დ. თუმანიშვილისა 22
V აფრიკის სპილო—კოტესი 24
VI ლიუდვიგ ბეთჰოვენი ბიოგრაფია. თარგმანი—ან. წერეთელისა 29
VII ღორი ლექსი—კანო ბირკაძისა 37
VIII ფიზიოლოგიური წერილები წერილი VI—ივ. გომართელისა. 38
IX შალვა და თამრო სურათი—მარიამ დემურიანისა 44
X მარიამობა—გ. წულუკიძისა 48
XI ვეშაპი—ბეტრესი 51
XII ნიშნების გამოცხადება (შეგირდის დღიურიდან)—მირზასი . 64
XIII საკვირველებანი ბუნებისა № 17 მწერიჭერია—ლადო ადნიანშვილისა 68
XIV მგლების ნადირობა (ნამდვილი ამბავი)—მ. მეშენგელისა . . 73
XV სამშობლოსთვის თავდადებული—თეოფ. კანდელაკისა . . . 74
XVI სამეცნიერო გასართობი № 7 ეშმაკის მოელინება - ბორასი . 76
XVII საჩიტარი მებაღეზე—ალ. მ—შვილისა 77
XVIII პატარა ხუროები თეოფ. კანდელაკისა 77
XIX წერილმანი: ხალხური ლექსები, ანდაზები, გამოცანები, აკროსტიხი, შარადა, რებუსები და სხვა 80

თანახმათ მათი ყოვლად უსამღვდელოესობის საქართველოს ეგზარხოსის დამტკიცებისა, თფილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოკტომბერს, 1897 წ. გადაწყვიტა ქართული საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სახმარებლათ.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო.
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. ჭ.

№ VII & VIII

წელიწადი მეცხრე

ეროვნული ბიბლიოთეკა
ბიბლიოთეკა
თბილისი

ტფილისი
სტამბა მ. დ. როტინიანცისა || Тип. М. Д. Ротинианца. Гол. пр., д. № 41.
1898.

Дозволено цензурою Тифлисъ, 25-го Іюня 1898 года.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმაწვილი და ციყვი

(ნასესხებია)

(გუძღვნი თამრიკო მაჭკარიანს)

უმაწვილი

ციყვო, ციყვო, მოცქრიალე
სად ხარ, ჩამო დაბლა, მალე;
ვითამაშოთ, ვიტრიალოთ,
ვირბინოთ და ვისრიალოთ;
ერთათ ყოფნით მეგობრულათ
ვიქნებით ჩვენ მხიარულათ.

ციყვი

მე აქ ფეფრო კარგათა ვარ
ფეშიშრათ და ფნალვლელათ;

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჯობს ცალკე ვითამაშო
მარტო ერთმა ფუდარდელათ.
ეშმაკი ხარ, არ მწამს ფიცი,
გალიაში ჩამსვამ ვიცი.

ყმაწვილი

კმარა, ცელქო, ნუ ახანებ,
წამო ჩემთან არ ინანებ!

ციყვი

ხის ტოტებზე მირჩევნია
თამაში და ხტუნაობა,
ვიდრე გამხმარ გალიაში
მოწყენილი ბღუნაობა,
ტკბილ სიტყვებით მაგრე ჩქარა
ვერ შემაცდენ წადი, კმარა!

შ. მლეიმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოფ-ხმლის საუბარი.



ჰეი, ჰეი, ჰეი! რამდენი რამე გადამხედია თავზე!.. ვინ მოთვლის, ვის გაახსენდება? დავბერდი, დავჩაჩანაკდი და ნუ მიძრახავთ, რომ ხსოვნამ მიღალატა. აგერ რამდენიმე წელიწადი გადის, რომ ბნელ ყურეში ვარ მიყუდებული და თავზე მჭვარტლი და მტვერი მეყრება! —ჰაი, ჰაი, სადა ხარ სიყმაწვილის ჯანო და ღონე! —გულ ამოსკვნით ბურდღულებდა ყურეში მიმალული ძველებური კაჟიანი თოფი.—

— შენი თქვი და ჩემსას არ იკითხავ, რა ღღეში ვარ? ყენებ ყენებით წამოიძახა იქვე გამჭვარტლულმა, კედელზე დაკიდებულმა ხმალმა. — ოჰ, ღმერთო ჩემო! რა ვიყავი და რა დროს მოვესწარ? ოი, ოი, ოი, წელი წელი! რაღაც წელში გამიდგა ჭვალსავით; არც მშორდება, მღრღნის და ლამის წელში გამწყვიტოს!

— აჰა, შენც გწვევია მოუწვევარი?—ჩაიხვიხვინა თოფმა, თითქო გაეხარდა, ეს ერთი ამხანაგი მაინც ვიშოვეო.

— რომელი მოუწვევარი?

— რომელი და... არ იცი? საკვირველია! რა გწყვეტს წელში? ჭვალი? ჰო და ეგ ჭვალი მეც მაწუხებს, არც მომკლა და არც მომარჩინა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რამდენი ხანია, რომ მზის ნათელი არ მინახავს, ამოიხვნეშა ხმალმა: ადრევ რომ ჰაერში პრიალ-პრიალი გამქონდა, შხუილ-შხუილით ჰაერს ვაპობდი... ჰაი, ჰაი, ახლაც გული ამიძგერდა ძველი ამბების მოგონეს... ამიძგერდა, მარა ასაძგერი ადგილიც რომ არ არის!!.

— როგორ თუ არ არი?! გაოცებით იკითხა თოფმა.

— როგორ და—შე დალოცვილო, ვერ ხედავ, როგორ სიგრძეზე ვარ გაკრული ტოჩებში? გარეშემოც სქელი ტყავი მახვევია და საძრაობა აღარა მაქვს! გუშინ წინ ბავშებმა ჩამოიღეს კედლიდან, მოიკიდეს ხელი, მწიეს მარა ვერ ამოიძერეს; მერე თავ-ბოლოში წამავლეს ხელი, ერთი იქით ეზიდებოდა და მეორე აქეთ, მაგრამ ამაოთ!.. ერთათ-ერთი საშუალება დარჩათ, რომ ტყავი და ტოჩები შემოეჭრათ, მაგრამ გაგვიწყრებიანო და ვერ გაბედეს!

— მერე რა გიყვეს?

— რა და—სხვა რომ ვერაფერი მამიხერხეს, გადამაჯდენ ზურგზე, და თითქო ცხენი ვიყავი, ხან აქეთ დამაჭენებდენ და ხან იქით, რასაკვირველია, ისინი იყვენ ჭენების გუნებაზე, თვარა მე ხომ... ბოლოს ისევ აქ მოიტანეს, „ფუო“ მითხრეს და ერთი ისეთი მიმარეხვეს კედელზე, რომ ახლაც მტკივა გვერდები.

— ამდენ ხანს სირცხვილით ვერ ვამხელდი, და ახლა კი, რადგან შენც ჩემ დღეში ყოფილხარ, ვიტყვი, რომ იმ ბავშებმა მეც ცუდი დღე დამაყენეს: წამიღეს აქედან, გამტენეს წამლით, მიჩხაკუნეს, მიჩხაკუნეს და რომ არაფერი გამოვიდა, მოარბევინეს დიდი ნიგუზალი და კაჟ-ჩახმახის მაგიერობა იმას გააწევინეს!.. სწორეთ გლახა დროში ვართ! რიდი და პატივი აგვეხადა, აბუჩათ ასაგდები, ბავშების სათამაშო გავხდით!.. უწინ ბავშები კი არა, უფროსებიც პატივით გვეპყრობოდენ! აი, მაგალითათ, მე ხშირათ მფერაედენ, თბილ ქურქს მაცმევდენ და მაქებ-მადიდებდენ, მეც, რასაკვირველია, ბევრჯერ მისახელებია ჩემი პატრონი: რამდენი თათარ-ლეკი მომიკლავს, ვინ მოთვლის? აბა ახლანდელი თოფები... მესკიასაც ვერ მოჰკლავენ, არა თუ თათარ-ლეკს!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰო და მაგაზე მწყდება მეც გული, თქვა ხმალმა, — მეც ნამსახური ვარ; რამდენი მტერი მომიგერებია, ამას დღეს ვინლა ახსენებს?! უწინ ელვასავით ვანათებდი, ოქროვერცხლით მოჭედილი ვიყავი და ცივ-ნიავს არ მაკარებდენ, ახლა კი — ვანათებ კი არა, — ბავშების სათამაშო შევიქენი! ვაი, ვაი, წელი! ამ წყეულმა კიდევ გამიარა! ქარები უნდა იყოს...

ამ ლაპარაკს როგორღაც ყური მოჰკრა პატრონმა. „ამას რაც ქარები ეჭირება ახლა, ყველა ვიციო“, თქვა, ჩამოიღო ხმალი, შემოაძრო ქარქაში და დაჭანგული პირი გამოჩნდა. გახარებულმა შეჰყვირა: „მიშველე, ქარები მაწუხებს და აბანოში წამიყვანეო“. „მეც მაწუხებს ქარები“, წამოიძახა თოფმა. აჰა ესეც დაჭანგული ყოფილა — თქვა პატრონმა, წაიღო ხელი და ორივე, თოფიც და ხმალიც, აბანოსკენ (სამჭედლოში) გაუყენა გზას. მჭედელმა, დაბარებისამებრ, ხმალი საკვეთათ გადააკეთა და თოფის ლულა კი შუაზე გასჭრა ქლიბით. ეს ნაჭრები პატრონმა წყაროს გაუკეთა მილათ და იქიდან, საიდანაც უწინ ზუზუნ-ზუზუნით მოჰქროდა მტრის გულის გამგმირავი ტყვია, დღეს ანკარა და ცივი წყალი გადმოჩანჩქარებს.

დ. თომაშვილი.



პატარა პუმის თავგადასავალი.

(თარგმანი)

(ვუძღვნი გოგის)

I.

ახლში არაჩვეულებრივი მოძრაობაა; ერთ იკვრაზე მეტია, რაც უველა როგორღაც აღელვებულია, თითქო რაღაცას ელიან.—აქ რაღაც ამბავი უნდა იყოს, ფიქრობს ჰუმი, მაგრამ ვერ მიმხვდარა. ტეუილათ ეკითხება შინაურებს, უველა თითს იფარებს ტუჩებზე და ეუბნება, შეშინებულსავით, ჩუმათ იყავიო. დედას მხოლოთ შუადღის შემდეგ ხედავს ხოლმე; ის სულ თავის ლოგინში წევს. მამა, ეტყობა, დაფიქრებულია. ჰუმს ხელები უკან შამოუდევს და მოუთმენლათ დაიარება ბაღში. რა ამბავია?.. ზარის წკრიალი ისმის! ვინ უნდა იყოს? ჰუმი აივნისაკენ გარბის...

ეს ხომ ექიმია, რიჰერტი! მერე ავათ რომ არავინ არის? ექიმი დღეს მალიან მხიარულია. ჰუმს ექიმებისა მალიან ეშინია, მაგრამ რიჰერტი არ მულს, რადგანაც ის კარგი გულისა არის: დაბალია, სხვილი, მოჰარსული წითელი სახე აქვს, უოველთვის ჯიბით ჰატარა ეუთი მოაქვს ხოლმე ანისულის ნულლით სავსე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ოჰ, ჩემ ჰუმს ვახლავარ! როგორა ბრძანდები? ეტუვის სოლმე რიპერტი და ლოუაზე თითებს მოუცაცუნებს.

ექიმი გართულია, დღეს მხიარულია, მაგრამ სახე ჩაფიქრებული აქვს. ნეტა რა უნდა მომხდარიყოს? უთუოთ რიპერტმა რაიმე ამბავი მოიტანა. ვაი თუ ნულლის გამეიდველი მოხუცი დედაკაცი მოკვდა?.. ან იქნება ჩინეთიდან მოვიდა რაიმე ამბავი? ვინიცის!

აი, პაულინა მირბის, ხელსახოცები მიაქვს.

— პაულინა, პაულინა!

ჰუმი დაეწია მას და კაბას სწევს.

— რა ამბავია, პაულინა?

— თავი დამანებე, თუ ღმერთი გწამს, საშენოთ არა მცალია.

ჰუმს გული მოსდის და ეკითხის:

— მინდა ვიცოდე!

— ჰენ პატარა დაიას ელიან! ახლა ხომ გაიგე?

პაულინა წავიდა. გაოცებული ჰუმი იმავე ალაგას დგას. ნეტა თუ მართალია?

უკვე რამდენიმე თვეა, რაც პატარა დაიას ელიან. ჰუმმა შარშან გაიგონა, რომ ის ჩინეთიდან უნდა მოეყვანათ. ჰუმი დიდიხნობით იჯდა ხოლმე ბაღში და ზღვას გადაჩერებოდა. ყოველი მომავალი გემის დანახვაზე გული ცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას დაუწყებდა ხოლმე: ჯერ ლაჟვარდ ცაზე ბოლი გამოჩნდებოდა, შემდეგ შორს, ცის კიდეში, ბუნდათ გამოიხატებოდა ერთი ბეწვა გემი, სულ პატარა იალქნებით; გემი თანდათან ახლოვდებოდა, იზრდებოდა, და, ბოლოს, სადგურში შემოვიდოდა, პატარა დაია კი არსად იყო. ჰუმმა კიდეც დაჰკარგა მისი ნახვის იმედი, აღარ ელოდა. უთუოთ პაულინამ იხუმრა, გუშინ არც ერთი გემი არ მოსულა. იქნება ღამე მოვიდა?.. მერე ჰუმს რომ ღრიალი არ გაუგონია! ყოველთვის, როცა გემი სადგურში შემოდის ისეთ ღრიალს ასტეხავს ხოლმე, ისეთ ღრიალს, თითქო ვეებერთელა მხეცი ყვირისო.

ნეტავი პატარა ბავშები მართლა ჩინეთიდან მოჰყავთ თუ არა? მართალია ბევრისგან გაუგონია ეს ჰუმს, მაგრამ ვინ იცის; ზოგი სულ სხვას ამბობს. ფირმინიც ამბობდა, ბავშებს კომბოსტოს თავებში პოულობენ ხოლმეო. ჰუმს წინეთ სჯეროდა. რამდენჯერ დაათვალიერა ჰუმმა მთელი ბოსტანი, თითოეული კომბოსტო გაშინჯა, ყოველი ფოთოლი ასწია, მაგრამ ვერაფერი ვერ ნახა!.. მებაღე, კრობარმა, ჰუმის თხოვნით მთელი ერთი კვალი კომბოსტო დარგო ცალკე და პატარა დაიას კომბოსტო დაარქვა, თუმცა სხვებისაგან არაფრით არ განირჩეოდა; გაიზარდენ, დიდი ხუჭუჭი ფოთლები ამოუვიდათ, მაგრამ ჰუმმა ვერც იქ ნახა პატარა დაია.



პატარა პუმი ფიქრშია.

ერთიც ვნახოთ, მართალი გამოდგეს! იქნება ის გემი, რომლითაც პატარა დაია მოვიდა, ჩუმათ შემოვიდა სადგურში? უთუოთ ამ ამბავს მოიტანდა რიპერტი... მეტი სიხარულით პუმმა ასკიკუკუ დაუარა და რაღაც გაურკვეველ სიტყვებს ჰყვიროდა.

„ამ საქმის ასე დატოვება არ ვარგა, იფიქრა პუმმა:

— ბაბუას უნდა გამოვკითხო“.

ბაბუა ბაღის ბოლოში დგას, პუმი გარბის იქითკენ ჭიხვინ-ჭიხვინით, ვითომ პატარა კვიცი ვარო. კარები ღია არის, პუმი შევარდება შიგ და ყვირის:

— ბაბუა, დაია მოდის!

ბაბუა სწრაფათ წამოხტა ადგილიდან. რა ამბავია?...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგონია, ცოტა ჩაძინებოდა. გაზეთი ხელიდან გავარდა. გაწითლდა. ჰუმი ცდილობს, ოსტატურათ გამოჰკითხოს ბაბუას ყველაფერი:

— ბაბუა, განა ვემი ჩინეთიდან მოვიდა?

— მოვიდა, მაშ! მომაწოდე ჩემი ჯოხი.

ფირმინმა მოირბინა. ბაბუას რაღაც ჩაუფურჩულა ეურში. უეჭველია, რაღაც ამბავი შეატყობია. ბაბუა ჩიფჩიფებს: „მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთსო“ და მიდის. ქუდიც კი არ დაუხურავს. ფირმინი ჰუმს რჩევას აძლევს, წადი ბაღში გაისეირნეო. აშკარაა, ჰატარა დაია ჩინეთიდან მოსულა... რა ბედნიერებაა, ვისაც ჰატარა დაია ჰყავს! ნეტავი როგორ ყვავილებში დაიბადა? ყველა ბავშები ხომ ყვავილებში იბადებიან... ჰუმის მეგობარი, ზეტი, კარგი კოგონაა, მაგრამ ჟინიანი და ჯიუტია, როცა ჰუმი იმის დედოფლებს ხელს ახლებს, ვირივით ღრიალს გააბამს ხოლმე. რა ესმისთ კოკოებს! მერე ეოველთვის ჰატივი უნდა სცე. აი, ზეტი მხოლოთ მაშინ არის კარგ გუნებაზე, როცა თამაშობის დროს ის ქალბატონია... „ჰუმო, ხალიჩა გაწმინდე! ჰუმო, ერბო მოიტანე! ჰუმო, ქოლგა მომართვი!“ მაროალია ზეტს შეენიერი, გრძელი და რბილი ქოჩორი აქვს, მაგრამ ჰუმს მაინც მობეზრდა მუდამ მოსამსახურეთ ეოფნა თამაშობაში.

ჰატარა დაიას მოფიქრება ჰუმს სიამოვნების ერუანტელს ჰგვრიდა. ერთი რომ ის ჰუმზე გაცილებით ჰატარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნება; სეირნობის დროს სათამაშოებს წამოუღებს, ბურთს საუზმეს... ერთი სიტყვით, სრული მისი მორჩილი იქნება. სანამ თავის დედოფალეებს მოკაზმაკდეს, უმალ უსათუოთ ჰუმს დაეკითხება, როგორ აჯობებსო. ჰუმიც თავის მხრივ ჰატარა დაიას მფარველობას გაუწევს, ძაღლებს მოაგერებს ხოლმე. ამის მოფიქრებაზე ჰუმი ამპარტავნულათ გადიჯიმებოდა. ისე უყვარს, ისე ჰატარა დაია, რომ მზათ არის, თავისი ტკბილეულობა მასაც გაუზიაროს ხოლმე. ნახევარს კი არ მისცემს, უფრო ნაკლებს, მაგრამ რა ვუყოთ: ჰუმი დიდია და ჰატარა დაია კი მას მხარსედაც ვერ შემოწვდება.

აი ჰაულინა მას რაღაცას ანიშნებს! უმახის... მლიკვს! ჰატარა დაია ჩინეთიდან ეუთით უთუოთ მაშინ მოვიდა, როცა ჰუმი ბაბუასთან იყო... ჰუმმა ხტუნვა-ცუნდრუკი დაიწყო.

— გამოიქეცი! ქალბატონი და ბატონი გიბრძანებენ! უმახის ჰაულინა.

— მოვიდა?

— ვინ?

— ჰატარა დაია... ეუთი...—იმახის ქშინვით ჰუმი.

— ეუთში ჰატარა დაია არ გამოდგა...

— მაშ რა იყო, ჰაულინა, რა იყო?

— ჰატარა მამია! მეორე ჰუმი!

— მეორე ჰუმი?

რა დროს ხუმრობაა? მეორე ჰუმიო? არა, ეს შეუმ-

ლებელია! და ნამდვილ ჰუმს, ჰირველს, ერთათ ერთ ჰუმს, გული მოზდის, ბრაზდება, ტირის, ფეხებს აბაკუნებს და ეგირის.

— დაიკარგოს იქით, მე ის არ მინდა! რათ მოიყვანეს? მე ჰატარა დაია მინდა, ჰატარა დაია!

ჰაულინა ცდილობს, დაამშვიდოს, მაგრამ ამაოთ. — ჰატარა მამია ჯობია, — ეუბნება მას. მაგრამ ჰუმს არა ეეურება რა; მწუხარებით გული ეთუთქება. აღარც ჰატარა დაია ეეოლება, აღარც საუზმეს და სათამაშოებს წამოუღებს, ვეღარც ის დაიფარავს ვისმეს ძაღლებისაგან, აღარც არავინ რჩევას ჰკითხავს, დედოფალები როგორ მოეკაზმოვო. რა საშინელი უბედურებაა! აშფოთებული ფიქრობს ჰუმი ამ ახალ არსებაზე, ამ ჰატარა ძამიაზე. ვინ ეხვეწებოდა, რომ ასე მოულოდნელათ ჩამოერია ჰუმის ცხოვრებაში ჰატარა დაიას მაგიერ, რომელსაც ის ამდენი ხანი ელოდა? ჰუმი ბუნდათ გრძნობს, რომ მოატყუეს... მეორე ჰუმი! ეს რას ნიშნავს? ჰუმს ცნობის მოეკარეობა გაეღვიძა. ჰატარა ძამია! როგორი იქნება? ჰუმმა სწრაფათ აირბინა კიბე, ეცა კარებს და დაუწყო რახუნი. კარები იღება.

დედა ლოგინზე წევს, ფერმკრთალია; ოდნავ იღიმება. მამაც იქავე ზის. ბაბუა და ექიმი ფანჯარასთან დამდგარან და ჩუმათ მუსაიფობენ. ყველას სახეზე კმაყოფილება არის გამოსატული.

გულ აჩვილებული ჰუმი გაჩერებულია და არ იცის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ქნას, სადღაა, ის ვიღაც მეორე ჰუმი? ამ დროს მამა მოიხედავს მისკენ.

— აქ მოდი, ჩემო ჰატარა ნებიერო!

მამა აიუვანს ჰუმს, დედა შუბლში ჰკოცნის და ეუბნება:

— წადი, შენი ძმია ნასე!

ჰუმი ძმიას ეძებს! აგერ აკვანი ლოგინის მეორე მხარეს! ეს ხომ მისი აკვანია! ერთი შეხეთ, მას აკვანს არ-თმევენ! ეუთი სადღა არის?... უთუოთ გარეთ გაიტანდენ... რიპერტი ხდის აკვანს გადაფარებულ ტილოს. ჰუმი ხედავს თეთრებში გახვეულ რაღაც წითელ არსებას. ნუ თუ ეს არის ჰატარა ძმია! უჰ, რა გლახა ეოფილა. დიაღ! მეორე ჰუმი! ვერ მოგართვით! დამშვიდებული ჰუმი მედიდურათ დაჩერებია ამ მძინარ არსებას, გრძნობს, რომ თითონ უკეთესია, ამპარტავნობს და თან მისდამი სიბრალული ებადება.

II

ცომეტი კაცი სადილათ.

ჰუმი თავის ოთახში ზის ცხვირ გაბუშტული და უკმაეოფილო სახით. მას ვერას გზით ვერ მოუნელებია, რომ ტკბილეული ცოტა აჭამეს. მართალია, სადილათ კვერცხი მისცეს, ინდაურის ნაჭერი, წაბლი, მაგრამ სამაგიეროთ ტკბილეულს დაუკლეს. ჰუმი მძიმეთ სუნთქავს: კუჭიცა

და გულიც აღვსილი აქვს. მაგრამ მისი თავმოუვარეობა შელახულია: ტკბილეული ცოტა გამოუგზავნეს და ისე ეწყინა, თითქო მთელი სიმდიდრე დაჰკარგოდეს...

დღეს აღდგომის მეორე დღეა. ჰუმმა ბევრი საჩუქრები მიიღო და შეუძლია, თავი შეიოლიოს; მასა აქვს ერთი ჰატარა კოლოფი უვნებელი საღებავები; რა უჭირს, რომ შეჭამოს? დარიჩინის ფერი საღებავი სულ შოკოლადსა ჰგავს! კიდევ რა აქვს? რეზინის დიდი ბურთი, ლამაზი ჯოხი! ის რომ ხელში დაიკავო, დიდ ადამიანს ემგავსები. მაგრამ ჰუმი გაბუტული ზის, ცხვირი ფანჯრის შუაზე მიუჭერია და ზედ ტუჩები უშნოთ მიუტლეჭია.

დედა, მამა, ჰაულინა, ფირმინი,—მის თვალში ყველა მტრებათ გადაიქცა. მას ისინი სულ ყველა ძულს: მიწაც გასკდომიათ, წყალშიც დამღრჩვალან, მვალიც დადგომიათ ყელზე,—ჰუმს სულაც არ შეეცოდება.

ჰუმი ფანჯარას მოცილდა; თვალებში სიხარული გამოეხატა; ტუჩებზე ღიმილმა თამაში დაუწყო. დღეს სალამოს ~~ოთახში~~ 63 კაცის სადილი აქვთ გამართული. მართალია, ჰუმი მარტო ისადილებს თავის ოთახში, მაგრამ... მაგრამ... ხომ დაჰირდენ ვაშლის შაქარლამას, იმდენს მოგცემთ, იმდენს, რომ!..

— ჰუმო, ქალბატონი გიბძანებს! ისმის ამ დროს ჰაულინას ხმა. ჰუმი მაშინვე გამოვიდა ოთახიდან. ნეტავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა უნდა დედას? ნუ თუ ~~ალბათ~~ დღეს რიცხვების გამრავლებას ჭკითხავს? ან იქნება იმის გაგება უნდა, გაათავა თუ არა ჰუმმა თავისი საწერი?

ჰუმი გამოურკვეველ მდგომარეობაშია. ლაპარაკი მოესმის; ეს მისი დედა და მამა არიან.

— ცამეტი კაცი როგორ შეიძლება! ამბობს დედა.

— რაღა დროსია მეთოთხმეტეს დაპატიჟება! უპასუხებს მამამ.

ჰუმი ტუვიასავით შეეარდება ოთახში,

— ჰუმო, ეუბნება მამა! შენ დღეს სალამოს ჩვენთან ისადილებ, რადგანაც დედა შენი ცამეტ კაცს უარობს.

— მკლავებს ხომ არ დააწყობ მაგიდაზე?

— გვერდში ვინც გეჯდომება, წიხლებს ხომ არ წაჭკრავ მაგიდას ქვეშ? ~~ჰუმს ვერაფერი გაუგია, განცვიფრებულია, ანთებული ხომლით და~~ დიდი მაგიდათი, რომელზედაც შვენიერი სუფრა არის გადაშლილი და ვერცხლისა და ბროლის ჭურჭელი ალაგია. ჰუმი გრძნობს, რომ ის ახლა საჭიროა და ამიტომ თავი მოაქვს; მოდი ერთი უარს ვეტუვი, და ვნახოთ, რას იზამენო, ჭფიქრობს ეშმაკი ჰუმი. — რაც უნდა იყოს მე უფლება მაქვს ამ მდგომარეობით ვისარგებლოვო.

— მეც ხომ სხვებსავით დამიდგმენ პატარა ჭიქებს? კითხულობს ჰუმი.

— დაგიდგმენ, მაგრამ შიგ კი არაფერს ჩაგისხმენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოღონდ ჰატარა ბროლის ჭიქები დაუდგან და რას დაეძებს, შიგ ჩაუსხმენ რასმეს თუ არა; ეს სულ ერთია. ვის რა საქმე აქვს, რომ ის ღვინოს არ ეწუობა და წყალსა სვამს. მისი ქეიფი არ არის? საცინათ კი ვეღარავინ აიგდეს, რადგანაც მასაც სხვებსავით ორი ჭიქა ედგმება.

— მეც ხომ ეოველისფერს მოვიტანებენ? ეკითხება ჰუმი მშობლებს,

— არა, შვილო, როგორ შეიძლება! თევზს არ მოგიტანებენ, რადგანაც ბევრი ფხა აქვს, არც ისჰანახს, შენთვის მაწყინარია. არც ბატს გაჭმევთ, რადგანაც ძალიან მსუქანია.

— დიახ, ვერა, ვერა! ასარსალებს ჰუმი ხელებს. მზათ არის დაიჩოქოს და შეთხოვოს. ბატის ხორცი! რა საუცხოვო რამ არის! გემოთი მაინც ანახონ სულ ცოტა!

— სოკოს ხომ მაჭმევთ? ეკითხა ჰუმი.

— ცოტა შეიძლება. ეუბნება დედა.

— ვაშლის შაქარლამას.

— მაგას კი. ეური მიგდე, ჰუმო, შენ უნდა ჩაიცვა ხავერდის ტანისამოსი. მხოლოთ იცოდე, საეელო და საბელოები არ გასვარო.

— დედილო!

— რა გინდა, შვილო?

ჰუმი დედას შეჩერებია და მის სახეზე თხოვნა მუდარა არის გამოხატული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნუ შემიკრავენ კისერზე სალფეტკს-სადილათ რომ დაგსხდებით, მე თითონ გავიკეთებ.

დედა ეთანხმება; გახარებული ჰუმი გამორბის ოთახიდან და მიხტის სამზარეულოსაკენ, რომ გაიგოს, რას აკეთებენ იქ.

— მარინე, მარინე, დღეს მე სტუმრებთან ვისადილებ! ახარებს ჰუმი მზარეულ-ქალს.

მარინე ხმას არ იღებს, ვითომც არაფერი გაეგონოს. სამზარეულოდან ჰუმი სალაროში გარბის, იქ ფირმინი ხვდება.

— ფირმინ, ეუბნება ჰუმი: დღეს მე სტუმრებთან ვსადილობ.

ეტყობა, ფირმინისათვის სულ ერთია, სადაც უნდა ისადილოს ჰუმმა.

— არ დაგავიწყდეს: ორი ბოლის ჭიქა უნდა დამიდგა.

ფირმინი არაფერს ეუბნება, დანებსა წმენდავს.

— ბატის ხორციც უნდა მომიტანო.

ფირმინი რაღაც სიმღერას უსტვენს.

— იცოდე, ვაშლის შაქარლამა ბევრი უნდა მომიტანო.

ფირმინი ერთბაშათ მოიწყენს და წარბებს აათამაშებს, თითქოს თვალში რაღაც ჩაუვარდაო.

ჰუმი ატყობს, რომ ფირმინი მას დასცინის, დოინჯს შემოიყრის და ეუბნება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გესმის, ფირმინ?

ფირმინი ხელს გულზე იდებს, იცინის და ჰუმს მდაბლათ თავს უკრავს.

კმაყოფილი ჰუმი ჰაულინასკენ გარბის.

— ჰაულინა, დღეს მე სტუმრებთან ვსადილობ.

— აბა დღეს კი ატკივა ერთ ვისმეს მუცელი! ეუბნება ღიმილით ჰაულინა.

ვის ატკივა? იქნება ჰუმზე ამბობს?

— ჰაულინა, ახლა დროა, რომ ტანისამოსი ჩამაცვა.

— რა გეჩქარება? კიდევ მოასწრობ გასვრას.

— არა, არა, ჰაულინა, გავუფთხილდები.

ჰაულინა უარზეა, ხუთ საათზე ადრე არ ჩაგაცმევო...

ესეც ხუთი საათი... ჰუმს ჰირი დაბანეს და ხავერდის ტანისამოსი ჩააცვეს. ჰუმი სარკის წინ დგას და თავი მოსწონს.

— ჰაულინა, როცა ვაშლის შაქარლამას ჩამოატარებ, მე კი არ გამომტოვო!

ზარის ხმა ისმის. ჰაულინას უძახიან. ხმა მაღლა ლაპარაკი დაიწყეს. მამას დეპეშა უკავია ხელში და კითხულობს:

— „ბოდიშს ვიხდი, რომ ავათმყოფობისა გამო ვერ გიახლებით.

გურდი“.

— რაღა გვეშველება! ხომ ისევ ცამეტი დავრჩით! საბოლოოდ კვეთილებით იმახის დედა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ჰუმს ნულარ დავსვამთ ჩვენთან და თორმეტი ვიქ-ნებით. ამბობს მამა.

— ნულარ დავსვამთ! ეთანხმება დედა.

ჰუმს ისევ მეელი ტანისამოსი ჩააცვეს. სტუმრები მოვიდენ. სადილათ დასხდენ. ჰუმი კი მარტო ზის თავის ოთახში და სადილს ჭამს. ის აღარც კი ახსოვს ვის-მე, ისე გვიან მოაქვთ მასთან საჭელი. სასტუმრო ოთა-ხიდან სტუმრების ლაპარაკი ესმის, სიცილი, ჭიქების ჭა-ხუნი. ფირმინი ხან აქეთ გარბის, ხან იქით. მის ფეხსა-ცმელებს ჭრიჭინი გააქვს. პაულინასაც ახალი კაბა აცვია.

მოწყენილი ზის ჰუმი და რამდენი ხანია ვაშლის შა-ქარლამას ელოდება. არავის მოაქვს.

პაულინა შემოღის და ტანისამოსს სდის, რომ ლო-გინში დააწვინოს.

— ვაშლის შაქარლამა, პაულინა? ეკითხება გაოცებუ-ლი ჰუმი.

— აღარ დარჩენილა...

ვანო.



ყმაწვილი და ფუტკარი.

ურჩქისა ძირში კეკლუცათ
გული გაეხსნა იასა,
დასტრფიალებდა მნათობი
მომხიბლველს, გულ-მკერდ ღიასა,
და ესეც სამადლობელათ
უძღვნიდა ქებათ-ქებასა;
თან ავრცელებდა ქვეყნათა
საამო სუნნელებასა.
აშვენ-ამკობდა ბუნებას—
თვის მალხაზ, კეკლუც დედასა;
თვალს იტაცებდა მგზავრისას,
გულს უკუ-ჰყრიდა სევდასა:
„თვალთ-მიმზიდველო, ბუნების
შემამკობელო იაო,
განა კაცთ გასახარებლათ
გულ-მკერდი გაგიღიაო?—
ვარსკვლავმა სხივი გიგზავნოს,
ნიავმა გითხრას ნანაო,
ცვარ-მარგალიტმა ციურმა
ყელ-პირი გადაგბანაო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„იცოცხლე, ტურფა ყვავილო,
შეამკე არე-მარეო,
კაცს სეედა უკუ-ჰყარეო,
შენც დატკბი, გაიხარეო!“
მიმოფრინავდენ პეპლები
ყვავილის გარეშემოსა
და იმის გულში მალხაზნი
ეძებდენ სიტკბო გემოსა.
უცბათ ყმაწვილი მოვიდა
ცელქი და მოუსვენარი

და ყვავილისკენ წაიღო
მან თვისი ხელი მკბანარი.
მაგრამ იქ მყოფმა ფუტკარმა
მოგლეჯა აღარ აცალა:
თვის მოშხამული ისარი
ხელში ჰკრა, აუკანკალა.
თანაც ბზუილით ეს უთხრა:
„ახია მაგ შენ თავზეო,
რომ ყვავილის წილ დღეს მე შენ
ისარი გითავაზეო!
პეპელა მითი საზრდოობს,
თაფლ-სანთელს მე ვამზადებო,
შენ კი რომ მოჰგლეჯ, დაჰყნიასავ,
დააჭკნობ, გადააგდებო!“

დ. თომაშვილი



აფრიკის სპილო.

ცხელ ქვეყნებთა შორის აფრიკა ყველაზე შესანიშნავია მრავალი და მრავალგვარი სხვილი ცხოველებით, მაგრამ ამ ცხოველებში ყველაზე საყურადღებო იქაური სპილოა. სპილოები ინდოეთშიც ცხოვრებენ, მაგრამ აფრიკის და ინდოეთის სპილოები ძლიერ განსხვავდებიან ერთი მეორისაგან. ინდოეთის სპილო ბევრ ჩვენგანს უნახავს ზოოლოგიურ ბაღებში ან სამხეცოებში, რადგან ამ სპილოს აშინაურებენ, ხოლო აფრიკის სპილო კი არა, თუმცა უკანასკნელი ინდოეთის სპილოზე გაცილებით ჭკვიანია. აფრიკის სპილო ინდოეთის სპილოზე დიდია, ყურები უშველებელი ასხია; ამ ყურებზე ამბობენ, როცა სპილო მათ გაშლის, წინიდან რომ შეხედო, თითონ სპილოს ველარ დაინახავო. ეშვები, როგორც მამალს, ისე დედალ სპილოსაც აქვს. გარდა ყველა ამისა აფრიკის სპილოს შუბლი უფრო გამოწეული აქვს ვიდრე ინდოეთისას.

სპილოს აგებულობაში ბევრი რამ არის შესანიშნავი: მოკლე კისერი, რომელზედაც უშველებელი თავი აბია, მორგვივით სხვილი ფეხები, ტლანქი ტანი, ყველა ეს გვეუბნება, რომ სპილო ზარმაცი, ზანტი, მძიმე ცხოველი უნდა იყოს, მაგრამ არა, სპილო, თავის დროზე, მოძრავი და მარდი ცხოველია. უშველებელ ტანთან შედარებით, ერთი ბეწვა თვალებში ისეთი ჭკუა უბრწყინავს, როგორსაც სხვა ცხოველებში ვერ ეხედავთ. სპილოს დიდი თავი ეშვებიანათ, რასაკვირველია, მძიმეა და იმიტომაც იგი მოკლე კისერზეა მიბმული; თუმცა სხვილი და მოკლე კისერი თავს კარგათ იმაგრებს, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ იგივე სიმოკლე კისრისა სპილოს უძნელებს თავის თავისუფალ მიხერა-მოხერას. უბედური იქნებოდა სპილო, რომ მოკლე კისერთან ხორთუმი არა ჰქონოდა. ხორთუმი ცხვირ-ს ალაგას აქვს ამოსული და თავისი შეხედულობით გძელ და სხვილ, ბოლოში შეიწროებულ, რეზინის მილს მოგვაგონებს, ბოლოზედვე აქვს ნესტოები. საოცარი სისწრაფით ატრიალებს ხ ხმაროობს სპილო თავის ხორთუმს: ხან რგოლივით მოხრის, ხან ზურგზე გადიგდებს, ხან ბოლოს პირში ჩაიდებს. ხორთუმით ჰგლეჯს სპილო ყლორტებს და ბალახს, ხორთუმითვე ილებს სხვა საჭმელსაც და პირისკენ ჰგზავნის. ხორთუმში შეიწოვს წყალს, თუ წყურია, ბოლოს პირში შეიდებს და დალევს, თუ არა სიცხეში ტანზე გადისხამს გასაგრილებლათ; ხორთუმითვე იგერებს იმისთანი მტრებს, რომლებზედაც ეშვების გამოღებას საჭიროთ არა თვლის. ერთი სიტყვით, ხორთუმი ბევრნაირ სამსახურს უწევს სპილოს და მოკლე კისრის უხერხულობას არც კი ამჩნეევინებს. მხოლოთ ერთ საქმეში ხორთუმი მოქნილი და გრძელი კისრის მაგიერობას ვერ უწევს; ეს ის საქმეა, როცა სპილოს დანახვა უნდა, რა ხდება მის ზურგს უკან. მოკლე კისერი ნებას არ აძლევს უკან მიიხედოს, ამაში ვერც ხორთუმი შველის ვერაფერს, მაგრამ, სპილოს ბედზე, ეს ნაკლიც მცირდება იმითი, რომ სპილოს თვალები ძლიერ გვერდზე აქვს, მერე, ყური ძლიერ მახვილი აქვს. და ბოლოს კიდევ იმითი, რომ სპილო მარტო არ ცხოვრობს.

თავის უშველებელი ყურებით სპილო მწერებს იგერებს. ამისთანავე სამსახურს სპილოს სქელი ტყავი უწევს. სპილოსთანა სქელი ტყავი ორიოდე სხვა ცხოველს თუ ექნება. ესე სქელი ტყავი რომ არა ჰქონდეს სპილოს, შენ მტერი, რომ აფრიკის ურიცხვი მწერები მასდღეს დააყენებდენ; ახლა კი მისი კბენა ცოტას თუ შეუძლიან. სპილო მარდათ დარბის, მხოლოთ ეს არის მობრუნება ემძიმება ხ ამითი სარგებლობენ მონადირეები. სპილო მათ რომ გამოუდგება, ისინი ცხენს გამოაბრუნებენ, და სანამ სპილო მოტრიალდებოდეს, მონადირეები თავს უშველიან ხოლმე. სპილოს აგებულობაში შესანიშნავია

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ კბილები, აგრეთ წოდებული ეშვები, რომლისათვისაც სპილოებზე ნადირობენ და ბევრსაც ხოცვენ, და რომლებიც წინა კბილების ალაგს აქვს ამოსული. ეშვებისა შესანიშნავი ის არის, რომ ისინი მუდამ იზრდებიან, სანამ სპილო ცოცხალია, ისე რომ, რამდენიც სპილო დიდი ხნისაა, იმდენათ ეშვები უფრო დიდრონი აქვს. ამ თვისებით სპილოს ეშვები ციყვის წინა კბილებსა ჰგვანან. ციყვსაც კბილები მთელ სიცოცხლეში ეზრდება, ხოლო ძლიერ გძელები არ იზრდებიან, რათგანაც ზემო კბილები ქვეითებზე ხახუნით ცვდება და მოკლდება. ქვეითა ყბაში სპილოს წინა კბილები არა აქვს. ყველა ცხოველს იმისთანა კბილები აქვს, როგორიც საჭიროა ჩვეულებრივი საჭმლის საშოვნელათ და დასაღეჭათ. აი, მაგ. სპილოსაც ეშვები იარაღის მაგიერობას უწევენ: ეშვებით იგერებს მტერს; მცენარეულის საჭმლის დასაღეჭათ სპილოს უშველებელი ძირის კბილები აქვს. სპილო, საშუალო რიცხვით, ას წელიწადს ცოცხლობს.

სპილოს მარტო ცხოვრება არ უყვარს. სპილოები უფრო ჯოგებათ ცხოვრობენ. ჯოგში ხან ასამდე სპილოა ხოლმე. ჯოგი უფროსათ ყველაზე ხნიერ და გამოცდილ სპილოს ირჩევს, ის უფროსობს და ჯოგი მას ემორჩილება; უფროსმა იცის სად რა საშიშია და ჯოგს აფთხილებს; მასვე დაჰყავს ჯოგი საბალახოთ, ირჩევს საძოვარ და საბანაო ადგილებს და სხვ.

სპილოები თუ მიესიენ რასმე ისე აიკლებენ, რომ აწერაც კი შეუძლებელია. სპილოებს ხეების ყლორტები უყვართ და რადგანაც ყლორტები ხშირათ ხეზე მაღლა არიან და სპილო თავის ხორთუმით ვერა წვდება, ხეს ძირიანათ ჰგლეჯს და ისე აცლის გემრიელ ყლორტებს. თუ ხე დიდია და ამოგლეჯა ერთს გაუჭირდა, იმას სხვებიც მიეშველებიან ხოლმე. ჯოგი სპილოებისა ძალიან მშვიდობიანათ ცხოვრობს, ერთმანეთში ჩხუბი არ უყვართ; მხოლოთ ხან-და-ხან მამალი სპილოები ერთმანეთს წაეკიდებიან და უფრო ღონიერი, დამარცხებულ მეტოქეს ჯოგიდან სამუდამოთ დევნის. განდევნილმა დანარჩენი თავის სიცოცხლე მარტოობაში უნდა გაატაროს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდ, უფროს სპილოებს, პატარა, უნცროსი სპილოები ძლიერ უყვართ. პატარა, მოზარდ სპილოს ჯოგის ყოველი წევრი ჰპატრონობს და უვლის, მაწოვარ სპილოს შეუძლიან ყოველი დედალი სპილო მოწოვოს, რომელსაც კი რძე უდგია ჯიქანში. წოვის დროს პატარა სპილო, წოვა რომ არ დაუშალოს, ხორთუმს უკან გადიგდებს ხოლმე. მაგრამ რამდენათაც მოზარდი სპილოსათვის უფროსებს გული შეტკივათ და უვლიან, იმდენათ შეუბრალებლათ ექცევიან ავათმყოფ სპილოს: დაბერებულ და ავათმყოფ სპილოს ჯოგიდან აგდებენ.

ჯოგიდან გაკდებული სპილოც ემორჩილება თავის ბედს და მიდის ეგრეთ წოდებულ „სპილოთა სასაფლაოზე“ და იქ სიკვდილამდე რჩება. რაც უნდა შორს იყვეს ჯოგი სასაფლაოზე, ჯოგიდან განდევნილი სპილო მაინც წავა სასაფლაოსკენ, გზაში სიკვდილი ან სრული უძლურება თუ შეაჩერებს.

სპილო ღონიერი, გამბედავი ცხოველია და კაცის გარდა, სხვისა არავისი ეშინია. მარტო რქასაც კი უშიშრათ შეებმის ხოლმე, თუმცა უფრო ხშირათ მარტო რქა ერევა,—მძლავრათ ჩაუსვამს მუცელში თავის ერთათ ერთ რქას, შიგ რამდენჯერმე მოატრიალებს და ისე ჰკლავს სპილოს. მუქთა ხორა მწერები ხომ მოსვენებას არ აძლევენ საწყალ სპილოს. იმის ტყავში კვერხებს დებენ, და ეს საშინელ ქავილს აუტეხს ხოლმე. მწერების და მათი კვერცხების მოსაცილებლათ სპილო შემდეგ ხერხსა ხმარობს: წავა, სადმე ჭაობში, ჩაწვება ღორიეთ, და მთლათ ტალახში ამოგანგლული მზეზე გასაშრობათ გამოვა. ტალახი რომ ტანზე შეახმება, მძლავრათ შეიბერტყება და გაიყრეევინებს, როგორც გამხმარ ტალახს ისე ტალახში გახვეულ ჭია-ღუას და მათ კვერცხებს. სპილოებს თუმცა ღამის ცხოველი არ დაერქმის, მაგრამ ისინი დღისით ისვენებენ და საძოვრათ უფრო განთიადისას გამოდიან.

აფრიკაში სპილოების რიცხვი თან და თან მცირდება, რადგანაც ეშვების გულისთვის მათზე ბევრი ნადირობს. როგორც ზევი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითაც იყო ნათქვამი, ხნიან სპილოს უფრო დიდი ეშვები აქვს, მაგრამ შეუბრალებელი ჟლეტით ადამიანი აღარ აცლის სპილოებს დიდი ხნის სიცოცხლეს და ამიტომაც მოსალოდნელია, რომ დიდი ეშვები უფრო და უფრო იშვიათი გახდეს. 1810 წელთან შედარებით საშუალო სიმძიმე სპილოების ეშვებისა ახლა მესამედიც აღარ არის.

სპილოები წყლის დასალევათ უფრო ღამით მიდიან, მაგრამ თუ დღე ცხელი დადგა, წყალზე დღისითაც მიდიან საბანაოთ. ხოლო წყალს დიდი სიფრთხილით უახლოვდებიან, რადგანაც იქ, წყლის პირებში ჩასაფრებულ ადამიანს ხშირათ მათთვის მწარე დღეები დაუყენებია. მიდის სპილო და ყური ფხიზლათ უჭირავს, ხან შეჩერდება, ყურს დაუგდებს და თუ საეჭვო არაფერი შემოესმა მის მახვილ ყურს, განაგრძობს გზას. აგერ წყალთან უხიფათოთ მიეიდენ. ზოგიშიგ შედის იმ სიღრმემდის სანამ ტანი მთლათ დაეფარებოდეს, ზოგიც ღრმაში არ შედის, ნაპირში ჩერდება, ხორთუმით წყალს იღებს და ტანზე ისხამს, ან სხვა სპილოებს ასხამს. სპილომ შეენიერი ცურაობა იცის, ხან ისე ჩაიმალება წყალში რომ ხორთუმის ბოლო ღა უჩანს ხოლმე.

ბოტე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიუდვიგ ბეთჰოვენი.

ლიუდვიგ ბეთჰოვენის პაპა იყო ნიდერლანდი. იგი ჯერ ცამეტი წლისა არ იქნებოდა, რომ ოჯახში უსიამოვნობა მოუხდა და ძალა უნებურათ მშობლების ოჯახს მოშორდა. ბევრ ხეტიალს შემდეგ დაბინავდა მდინარე რეინის ნაპირას ქალაქ ბონნში და იქ საცხოვრებლის ხორცში შეეიდა მგალობლათ; მალე ისეთი მუსიკალური ნიჭი გამოიჩინა, რომ ყველას ყურადღება მიიპყრო და ლოტბარობაც ჩააბარეს.

მან ყველას პატივის ცემა და სიყვარული დაიმსახურა, მისი სახელ გათქმული შვილის-შვილი ბეთჰოვენი აღტაცებით იხსენიებდა თავის პაპას, რომელსაც ისეთი დიდი გავლენა ჰქონდა მასზე.

ბეთჰოვენის მამა კი, იოგანი, უხასიათო კაცი და საშინელი ლოთი იყო. მამის მუსიკალური ნიჭი იოგანზე გადავიდა და მალე ამანაც პატარა ჯამაგირით ხორცში ადგილი იშოვა. სანამ მოხუცი ლოტბარი ცოცხალი იყო იოგანს არა უჭირდარა, ისე არა ლოთობდა და ოჯახი როგორც იყო იკვებებოდა. მაგრამ მოკვდა თუ არა მოხუცი ოჯახი გაჭირებაში ჩავარდა.

იოგანმა შეატყო რომ მისი ოთხი წლის ლიუდვიგი სიმღერის და მუსიკის ნიჭს იჩენს და მოინდომა მისგან საოცარი ბავში გამოეყვანა, სწორეთ ისეთი, როგორიც მაშინ იყო სახელ განთქმული მოცარტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუწყო პატარა შვილს სწავლა ფორტოპიანოზე და სკრიპკაზე. არ აძლევდა მოსვენებას. მთელი დღე უნდა მდგარიყო ხუთი წლის ბავში ფორტოპიანოს წინ (ისე პატარა იყო, რომ ვერ დაჯდებოდა) და გაკვეთილი ესწავლა. როგანი შვილს არა თუ სასტიკათ საშინლათ მკაცრათ ეკიდებოდა; თავის-ნათქვამ ბავშს ძუჯლუგუნებს და სილებს არ აკლებდა. ყმაწვილს ნებას არ აძლევდა სხვა ბავშებთან თამაშობისას და სკოლაშიაც არ ატარებდა, რა არი მუზიკაზე გული არ აიყაროსო. ამიტომაც ლიუდვიგმა ძალიან გვიან ისწავლა წერა-კითხვა და თუმცა ჭკვიანი კაცი იყო ცხოვრებაში მაინც გაუვითარებლობა ემჩნეოდა.

ამ გვარმა აღზრდამ ლიუდვიგზე უცნაური გავლენა იქონია. ბავში მთელი დღეობით უძრავათ სარკმლის წინ იჯდა და ოცნებებით გატაცებული ცას შეცქეროდა.

ლიუდვიგს ნიჭი დღითი დღე დიდი სისწრაფით ეჩნეოდა. რვა წლისამ მამას გაასწრო, ის თითონ ველარ ასწავლიდა და სხვა მასწავლებელს ჩაბარა. ხშირათ შუაღამისას, როდესაც მამა და მასწავლებელი ნაქეიფარი შინ დაბრუნდებოდენ ყმაწვილს ააგდებდენ ქვეშაგებიდან და გათენებამდის აკვრევინებდენ მუზიკას. ბოლოს ლიუდვიგის მასწავლებლობა იკისრა მაშინდელმა გამოჩენილმა დამკვრელმა და სასახლის ხოროს ლოტბარმა ნეჰემ. ამან მაშინვე შეამჩნია, რომ ბეთჰოვენს შეთხვზის ნიჭიც აქვს და დაუწყო მუზიკის თეორიის სწავლა.

ერთ წელიწადს შემდეგ ნეჰე კარგა ხნით უნდა სავაგან წასულიყო და თავის ადგილას ჩააყენა თერთმეტი წლის ბეთჰოვენი ე. ი. ლოტბარობა ჩაბარა ყმაწვილს.

ბავში ისე კარგათ უძღვებოდა საქმეს, რომ როდესაც ნეჰე დაბრუნდა ლიუდვიგი თავის თანაშემწეთ აიყვანა, მერე ერთ წელსაც არ გაუელია, რომ სრული ლოტბარობა მას ჩაბარეს, ჯამაგირიც სამყოფი დაუნიშნეს და მას შემდეგ მთელი ოჯახის შემნახველიც ეს გახდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუთხმეტი წლის ბეთჰოვენი ახლა ნიჭიერი ბავშვი კი აღარ იყო, ნამდვილი მემუზიკე გახდა. მის მოუსვენარ და ცოცხალ ბუნებას აღარ აუმაყოფილებდა და არ იტევდა ეს პატარა ქალაქი, მას იზიდავდა და სანატრელი გაუხდა სატახტო ქალაქი ვენა, სადაც იმ დროს მეფობდა მოცარტი. მალე ლიუდვიგს აუსრულდა ოცნება, თექვსმეტი წლისა რომ შეიქნა წავიდა ვენაში, იმდენი აქეთ-იქით ეცა, რომ მოცარტი პირის პირ ნახა. ამათ ერთმანეთი არ მოიწონეს. პატარა, უშნო შეხედულობის მოცარტმა, რომელსაც თვალები აქეთ-იქით მიურბოდა, თავისი უჟამური ქცევით, ცივი წყალი გადაასხა აღგზნებულ ყმაწვილს. წამოსადეგი ტანის ბეთჰოვენი, ლომის მსგავსი ჯაგრით და გაბრწყინვალებული თვალებით არ მოეწონა მოცარტს. და ესენი ცივათ შეხვდენ ერთმანეთს.

როდესაც ბეთჰოვენმა წინდაწინვე ნასწავლი პიესა დაუკრა, გამოჩენილმა მემუსიკემ ეს დაკერა ოდნავ მოუწონა. ბეთჰოვენს ეწყინა, გულს ეცა და მაშინვე თხოვა: შემამიკვეთეთ რაც გნებავთ იმას დავუკრავო. და რადგან ძალიან აღელვებული და აღშფოთებული იყო, ერთი ორათ უფრო კარგათ დაუკრა ისე, რომ მოცარტმა ველარა აწამარა, გაოცებული და აღტაცებული გავარდა მეორე ოთახში და წარმოთქვა; „ეს კაცი ქვეყანას აალაპარაკებსო“, მაგრამ თითონ მაინც არ დაუკრა. ესენი როგორც შეხვდენ ცივათ, ისეც ცივათ გაშორდენ. და ამას შემდეგ მათ ერთმანეთი არც უნახავთ.

ბეთჰოვენი შინ რომ დაბრუნდა დედა ძალიან ავათმყოფი დაუხვდა და მალეც მოუკვდა.

ყმაწვილს ნაღვლის და გლოვის დრო არა ჰქონდა—შესანახავი გაუხდა ორი უნცროსი ძმა და მამაც, რომელიც უადგილოთ იყო და დიდი ვალიც ჰქონდა. ძალიან გაჭირებულ დღეში ჩავარდა ლიუდვიგი, ბევრი თავისი დაწყობილება და განზრახვა გადადო განზე, რომ ლუკმა პური მოეპოვა თავის ოჯახისთვის.

მას არას დროს ეჭვი არ შესვლია, რომ თავის მოვალეობისათვის ეღალატა. პირნათლათ უძღვებოდა საქმეს, ეტყობოდა მტკიცე ხასიათი და შრომასაც შეჩვეული იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ძნელ და გაჭირვებულ ცხოვრებამ ბეთჰოვენი გახადა იჭვიანი, კაპასი და თანდათან ადამიანებს ერიდებოდა. მაგრამ ამ დროს დაუახლოვდა ფონ-ბრეინინგის სახლობას, სადაც ხედავდა გულწრფელ ალერსს და დედობრივ მზრუნველობას. ბეთჰოვენი ფონ-ბრეინინგის ოჯახს თავის მფარველ ანგელოზათ სახავდა.

ამ ოჯახის შემწეობით მას ჯიბეც ვამოუკეთდა. ბევრი კაი გაკვეთილები იშოვა და მრავალი დიდკაცობაც გაიცნო, რომელთაც დიდი მფარველობა გაუწიეს.

ბეთჰოვენს მართალია ცხოვრება გამოუკეთდა, მაგრამ ჯერ ბევრი სწავლა ეჭირვებოდა, ამიტომაც ხელ ახლათ წავიდა ვენაში და მიებარა სასწავლებლათ გამოჩენილ მემუსიკეს აიდნს.

სამი წლის განმავლობაში იგი სწავლობდა სხვა და სხვა გამოჩენილ მასწავლებლებთან. იგი საზოგადოთ ჩაფიქრებული ბ მოღუშული იყო, მაგრამ ზოგჯერ გამხიარულდებოდა, დაუღალავათ ტიკტიკებდა და ყველას მასხარათ იგდებდა. ბავშვივით ალალ-მართალი და გულწრფელი იყო და არაფრის გულისთვის თავს არ მოუხრიდა სხვას. იგი იყო მაღალი ტანის, სქელი, მართალია სახით ლამაზი არ იყო, მაგრამ გამომეტყველი და ენერგიით სავსე სახე ჰქონდა, თვალებიც მუდამ უბრწყინავდა. ხშირათ დაუვარცხნელი თმა თავზე ქუდივით ჩამოეფხატებოდა. ახალ-გაზდობაში იცოდა კოხტათ ტანთ-ჩაცმა, მერე კი, როდესაც აუარებელი საქმე გამოუჩნდა ტანისამოს აღარ აქცევდა ყურადღებას და ბინძურათ დადიოდა. მიხვრა მოხვრა, მოძრაობა ისეთი უშნო და მოუხერხებელი ჰქონდა, რომ ყოველ წამს ან რასმეს წააქცევდა და ან რასმეს გატეხავდა. ხშირათ საწერელს მელნით ფორტოპიანოზე გადააბრუნებდა და ყველაფერს მიაგდ-მოაგდებდა: წიგნები და ნოტები იატაკზე ეყარა ხოლმე, ფორტოპიანოზე საუზმის ნასუფრალი დარჩებოდა, მაგიდის ქვეშ ეყარა ხოლმე მისი წერილები და ხშირათ ახლათ დაწყობილი პიესის ნაწერი.

ზოგჯერ მთელი კვირაობით ეძებდა რომელსამე საჭირო ქაღალდს და გაბრაზებული ყვიროდა: „ერთ ადგილას არ დამიყენებენ არაფერს. ოჰ! რა ხალხია ქვეყანაზეო!“

ერთხელ ბეთჰოვენი საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა, თავის დიდი თხზულების ერთი ნაწილი დაეკარგა. დიდხანს ამაოთ ეძებდენ და ამან ცუდათ იმოქმედა ბეთჰოვენზე. ის ხელთ ნაწერი კარგა ხანს შემდეგ იპოვეს, მაგრამ ნურა თვალს ენახა რა მდგომარეობაშიაც ის ნახეს. ნოტების დიდი და სქელი ქაღალდი თურმე ძალიან მოსწონებოდა გასახვევათ ბეთჰოვენის მოხუც მზარეულ ქალს და შიგ გაეხვია ქვაბები, ჩექმები ⁊ სანოვაგეები, როდესაც საადარაკოთ მიდიოდენ. ბეთჰოვენმა რომ დაინახა თავის თხზულების ასეთი დამცირება ერთი საშინლათ გადიხარხარა და რაც კი ამოირჩეოდა გადაარჩინა.

1894 წელს ბეთჰოვენმა დასწერა მუზიკა „დიდების წუთი". დიდ ძალი ხალხი დაესწრო იმის მოსასმენათ თეატრში. როდესაც დაუკრეს ეს დიდებული თხზულება, გვირგვინოსნებმა და დიდ ძალ სახელოვან დიდკაცობამ მიაქცია ყურადღება, და აღტაცებით ისმენდენ. დარბაზი სავსე იყო ხალხით, მაგრამ ისეთი სიჩუმე იყო თითქო კაცი ეკლესიაში იყოსო, მხოლოთ ზოგჯერ საზოგადოება აღტაცებას ვერ იკავებდა და ვაშას ძახილით აწყვეტინებდა დაკვრას.

ამ ხანში ამაზე მეტათ სახელის განთქმა ძველი წარმოსადგენი იყო და სწორეთ ამ დროს ბეთჰოვენმა სიხარულით ყურთა სმენა დაჰკარგა. საბრალომ იგრძნო თუ არა ეს,საშინელ სასოწარკვეთილებას მიეცა. მაგრამ ამ საშინელმა უბედურებამაც ვერ მოხარა იგი, პირ იქით უფრო დაუფრო ნათლათ გამოჩნდა მისი მაგარი ხასიათი: „არ მინდა უბედური ვიყო, სწერს ბეთჰოვენი,—სენს ეწდები კისერში და არ მიეცემ ნებას რომ მომზნიქოს". აი, ამისთანა დიდ სულოვანებიდან გადმოჩქეფდა ნიჭიერი მემუზიკის დიდებული თხზულებები. ამაშიე გამოიხატებოდა მისი სულის ძალა, რომელიც ისე გამჯდარი ჭქონდა მას ძვალ-ხორცში.

გამომცემლები ბეთჰოვენის თხზულებებს ერთმანეთს ხელიდან აცლიდენ და ამას შეეძლო დიდი შეძლება შეეძინა ბეთჰოვენისთვის, მაგრამ მისი ქისის პირი გახსნილი იყო ყველა გაჭირვებულებისთვის და საწყლებისთვის. „როდესაც ვხედავ რომ მეგობარი კაცი გაჭირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებულია და ქისა კი ცარიელია, დავჯდები დავწერ რასმეს და გა-
თავდა საქმე, ფული გაჩნდება; ასე სწერს ბეთჰოვენი ერთ თავის
მეგობარს.

ბეთჰოვენს არა ჰყავდა ცოლ-შვილი და არა იცოდა რა ოჯახის
სიტკბოებისა. სიბერის დროს იშვილა ძმის წული და ძალიანაც შეი-
ყვარა, მაგრამ თავხედი ყმაწვილი არაფრათ აფასებდა ბიძის სიყვარულს
და ხშირათ ატყუებდა კიდეც. ამათ ხშირათ უსიამოვნობა ჰქონდათ.

ერთხელ ბიძასთან უსიამოვნებას შემდეგ ყმაწვილი გაიქცა სახლი-
დან და თავის მოკვლა განიზრახა. დიდი ხნის ძებნას შემდეგ თავში
მძიმეთ დაჭრილი მოჰგვარეს. ამ შემთხვევამ ერთბაშათ დააბერა ბეთ-
ჰოვენი. ყმაწვილი მალე კარგათ შეიქნა, მაგრამ ისე ცუდათ იქცეო-
და, რომ ვენიდან განდევნეს.

მაშინ ბეთჰოვენი თავის ძმის წულით საცხოვრებლათ სოფელში
თავის ძმა იოგანთან წავიდა. აქ არავინ ზრუნავდა ავათმყოფ მოხუცზე,
და იმდენ უსიამოვნობას აყენებდენ, რომ ერთხელ, ძმასთან ჩხუბს შემ-
დეგ, იძულებული შეიქნა გამოქცეულიყო. ჯიბრზე ძმამ არ დაუთმო
თავისი ეტლი და ბეთჰოვენი ცივ და სუსხიან გიორგობისთვის დილას
დაჯდა უბრალო ურემზე და ისე გამოეცალა ძმას.

ბეთჰოვენი რომ მივიდა ვენაში მძიმე ავათმყოფი იყო, ექიმი
მალე ვერ მიხვდა მის ავათმყოფობას და ღღითი ღღე უარეს მდგო-
მარეობაში ჩავარდა, წყალმანკი გაუჩნდა. ექიმებმა წყალი გამოაშვეს.
ბეთჰოვენმა რომ დაინახა თქვა: „წყალ-წყალა კალმის ნაწარმოებს კი-
დევ ეს წყალი ჯობიაო“.

ერთ ხანს უკეთ შეიქნა, უნდოდა რამე დაეწერა, მაგრამ ჯანი
ალარ მოსდევდა. თხზულებები სულ გაყიდული ჰქონდა და იყო
მარტოთ მარტო ყველასაგან დავიწყებული.

ბეთჰოვენმა იგრძნო სიკვდილის მოახლოება. ორიოდ მეგობარი
ველიდენ და მომაკვდავს ამათ ურჩიეს წმინდა საიდუმლოს მიღე-
ბა. მოხუცი სიამოვნებით დათანხმდა.

სულთ მობრძავი ალარავის ცნობილობდა. მეგობრები შეუდგენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამარხვის სამზადისს. მხოლოთ ერთი ახალგაზდა მემუსიკე, რომელიც მოვიდა მის თაყვანსაცემლათ არა შორდებოდა მომაკვდავს გვერდიდან.

29 მარტს, 1827 წელს საღამოს ხუთ საათზე ატყდა ჭექა-ქუხილი, ელვამ ერთბაშათ გაანათა ბეთჰოვენის ოთახი, მომაკვდავ გენიოსმა ერთი კი გაახილა თვალები და განუტევა სული.

ბეთჰოვენს რომ მარხავდენ გაზაფხულს შვენიერი დღე იდგა. ცოცხლათ დავიწყებულს მის ცხედარს ახლ ოცი ათას კაცზე მეტი აცილებდა

ამ გამოჩენილ მემუსიკეს ძეგლი დაუდგეს, რომელზედაც იყო გამოყვანილი მზე და ქვეშ ქნარი, რომლიდანაც მოჩანდა მხოლოთ შემდეგი წარწერა: „ბეთჰოვენი“.

სონატა ბეთჰოვენისა.

ბეთჰოვენს ძალიან უყვარდა ზაფხულობით, მიყრუებულ ადგილებში შორს, მარტო სეირნობა. მაშინ მას ავიწყდებოდა ქვეყნიერება, მიეცემოდა ოცნებებს და აი ამ დროს თხზავდა ნიჭიერ თხზულებებს.

ერთხელ საღამოს, ქალაქ კონნაში რომ იყო, გავიდა სასეირნოთ ქალაქ გარეთ, მდინარე რეინის ნაპირას. ნელის ნაბიჯით დაფიქრებული მიდიოდა. ერთბაშათ შორიდან შემოესმა როიალის ხმა. გასწია იქით მხარეს და წააწყდა ერთ პატარა აგარაკს. დაკვრის ხმამ გაიტაცა, შედგა ყურის დასაგდებათ. ეიღაც კარგი დამკვრელი უკრავდა მის ერთ-ერთ ძნელ თხზულებას. მარგალიტივით იბნეოდა ანკარა ხმები დახელოვნებული თითებიდან. განცვიფრებულ ბეთჰოვენს არ ესმოდა რა ემართებოდა. ჯერ არც ერთხელ არ გაეგონა, რომ მისი თხზულება ვისმეს ასე გრძნობით, და სინამდვილით დაეკრა. რაღაც ძალამ შეიყვანა ის იმ პატარა სახლში. ხმას აჰყვა მაღლა კიბეზე და შეაღო კარი. როიალთან იჯდა ახალგაზდა ქალი.

— შენა ხარ, ძვირფასო მამავ! იკითხა ქალმა და თან დაკვრა განაგრძო. როდესაც გათავა, წამოდგა და თქვა: — მომიახლოვდი რომ მოგეხვიო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეთჰოვენი მიუახლოვდა ახალგაზდა ქალს და განცვიფრებული შეადგა. ქალი სულ ყმაწვილი იყო, 16 წლისა იქნებოდა, მოჩვენებას ჰგავდა, თითქოს ანგელოზი უდგა თვალწინ: თეთრ შუბლზე მოჰფენოდა ხუჭუჭი ოქროს ფერი თმა, ოქროს ფერი ნაწნაები თავზე გვირგვინივით შემორტყმული ჰქონდა; მაგრამ მის სახის გამომეტყველებამ გააოცა ბეთჰოვენი, დიდრონ წამწამებით მორთულ თვალებს არც გამომეტყველება ეტყობოდა და არც ელვარება.

ეჭვი არ იყო, მის წინ იდგა ბრმა. დიდი მწუხარება იგრძნო ამ გამოჩენილმა კაცმა და განცვიფრებით შეჩერდა:

— თქვენ უცხო ბრძანდებით, თქვა ქალმა შიშით,—მაშ ჩემი მამა არა ყოფილხართ?

— დამშვიდდი, ჩემო შვილო, უთხრა ბეთჰოვენმა, მართალია, მე შემოვედი თქვენ სახლში დაუკითხავათ, ნება დაურთველათ. თქვენმა საოცარმა დაკვრამ გამიტაცა და ჩემდა უნებლიეთ შემომყვანა თქვენთან, როგორც მეგობარი, მადლობის სათქმელათ, რომ ჩემ თხზულებას აგრე შვენიერათ უკრავთ.

— როგორ, მაშ თქვენ ბეთჰოვენი ბრძანდებით? შეჰყვირა ახალგაზდა ქალმა. მხოლოთ ახლა ვგრძნობ ჩემ უბედურებას, რადგან ვერა ვხედავ იმ კაცს, რომელიც სულით და გულით მიყვარს. ორი წელიწადია რაც თვალის სინათლე დამეკარგა და მასუკან მუსიკა არის ერთათ ერთი ჩემი ნუგეში. მეტადრე თქვენი თხზულებები მაძლევენ ჩემ უნუგეშობას და გამიტაცებენ ხოლმე. უმუსიკოთ დიდი ხანია სასოწარკვეთილება მომკლავდა.

— საბრალო შვილო! თქვა ბეთჰოვენმა—თქვენ ვერ დამინახავთ მართალია, მაგრამ ჩემ დაკვრას კი გაიგონებთ.

თქვა ეს თუ არა მიუჯდა როიალს, იგი ძალიან იყო აღელვებული, ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოდიოდა ლოყებზე. უსაზღვრო, ნაღველით სავსე გრძნობა, ამ უბედური ახალ-გაზდა ქალის დანახვით, გამოხატა მუსიკაში, მის თითებს გრძნობით სავსე ხმები გამოჰყავდა. ამ თხზულებამ გაითქვა ყველაზე მეტათ სახელი და ჰქვიან: „მთვარის სონატა“.

ან. წერეთელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღ ო რ ი.

ორო, შესულხარ ეანაში,
ჯამ, ახდენ, არა გცხვენია,
გარემოება ხელს გიწუობს,
ბურთ მოედანი შენია.

მაგრამ მალე შენ დაგკვლენ,
დილა არ გაგითენდება...
და კვლავისათვის ეანიდან,
სიმინდი აღმოცენდება.

ვანო ბირკაძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიზიოლოგიური წერილები



VI

ვილიამ ჰარვეი.

ენ ახლა იცი, რა ნაირათ ტრიალებს სისხლი ჩვენსა და ყველა იმ ცხოველების ტანში, რომლებსაც გული აქვთ; მაგრამ ამ სამასი წლის წინეთ, შენისთანა პატარა კაცუნებმა კი არა, გამოჩენილმა მეცნიერებმაც არ იცოდენ, თუ სისხლი ტრიალებდა. ისინი დარწმუნებული იყვენ, რომ სისხლი გულიდან ტანში მიდიოდა და უკან კი აღარ ბრუნდებოდა. შენ იცი, რომ დიდი ადამიანის ტანში ათი გირვანქა სისხლია. ეს სისხლი მინუტში ორჯერ შემოუელის მთელ ტანს ე. ი. ორჯერ გაივლის გულში; სისხლი რომ უკან არ ბრუნდებოდეს გულში ამ ათ გირვანქა სისხლს გული ნახევარ მინუტში დახარჯავდა და, სიცოცხლე რომ არ მოსპობილიყო, ყოველ ნახევარ მინუტში ათი გირვანქა სისხლი უნდა მოემზადებულიყო ჩვენს ტანში და გულში ჩასულიყო; ერთ მინუტში $10 \times 2 = 20$ გირვანქა, ერთ საათში $20 \times 60 = 1200$ გირვანქა ან ~~ოც-და-ათი ფუთი~~!!! ამოდენა სისხლს ჩვენი ტანი ერთ საათში კი არა ხუთ წელიწადშიაც ვერ მოამზადებდა და სიცოცხლეც შეუძლებელი იქნებოდა, მაგრამ ბუნებამ გასაოცარი გზა აირჩია: ადამიანს და ბევრ სხვა ცხოველს მისცა გული და ფილტვები: გული ატრიალებს სისხლს, ფილტვები დაძველებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლს შეუწყვეტლათ აახლებენ ⁄ ისევ ტახს ახმარებენ; ამ გვარი მოქმედების წყალობით ათი გირვანქა სისხლი ჩვენ ტანს სრულიად ჰყოფნის. ეს ბუნების საიდუმლოება პირველათ მეცნიერმა ჰარვეიმ აღმოაჩინა.



ვილიამ ჰარვეი.

ვილიამ ჰარვეი დაიბადა ინგლისში 1 აპრილს 1578 წ. მამა მისი შეძლებული ვაჭარი იყო. ათ წლამდის ვილიამს ასწავლიდა დედა, რომელიც გულკეთილი და ნიჭიერი ქალი იყო. შემდეგ ჰარვეი მიაბარეს გიმნაზიაში, სადაც ის ხუთ წელიწადს სწავლობდა. გიმნაზიის გათავებას შემდეგ ჰარვეი უნივერსიტეტში შეევიდა; აქ ის ძველ მწერლობას და საექიმო მეცნიერებას სწავლობდა. უნივერსიტეტი ოთხი წლის შემდეგ გაათავა, მაგრამ ცოდნის შეძენის სურვილი იმდენათ მძლავრათ ჰქონდა გამჯდარი, რომ ამ სწავლით არ დაკმაყოფილდა და გამოსწია საფრანგეში, რომელიც იმ დროს განთქმული იყო თავისი უნივერსიტეტებით და განსაკუთრებით საექიმო ნაწილით. ჰარვეი აქ დიდხანს არ დარჩენილა, რადგანაც პროფესორები არ მოეწონა; საფრანგეთიდან გერმანიაში წავიდა და იქიდან იტალიაში გადმოვიდა. აქ ის ოთხ წელიწადს დარჩა: საუკეთესო პროფესორების ხელ-მძღვანელობით მუშაობდა და სწავლობდა საექიმო მეცნიერებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხ წელს შემდეგ ის თავის სამშობლო ინგლისში დაბრუნდა და მიჰყო ხელი ავათმყოფების რჩენას. ჰარვეიმ მალე გაითქვა საუცხოო ექიმის სახელი და ამიტომ სასახლის ექიმათ იქმნა დანიშნული. ავათმყოფები ჰარვეის ძალიან ბევრ დროს ართმევდენ; თავისუფალ დროს სულ სამეცნიერო შრომას და კვლევას ანდომებდა. სამუშაო კი მაშინ ძალიან ბევრი იყო: საექიმო მეცნიერება თითქმის სრულიად გამოურკვეველ სწავლას წარმოადგენდა; ნამდვილი ფიზიოლოგია არ არსებობდა, უფიზიოლოგიოთ კი საზრიანი ექიმობა და წამლობა ყოველად შეუძლებელია. 1615 წელს ჰარვეიმ ექიმების თხოვნით მათ ლექციების კითხვა დაუწყო; მისი საყვარელი საგანი ფიზიოლოგია იყო—ნამეტურ სისხლის მოძრაობა. ერთ წელს შემდეგ ის უკვე უკითხავდა მსმენელებს თავის აზრს და გამოკვლევას სისხლის მოძრაობის შესახებ და მხოლოთ 1628 წელს დაბეჭდა ცალკე წიგნათ: „ცხოველების გულისა და სისხლის მოძრაობის ანატომიური გამოკვლევა", რომელშიაც თავისი აღმოჩენა გამოაქვეყნა. ჰარვეიმ შექმნა ამ წიგნით თანამედროვე ფიზიოლოგია და დაამკვიდრა საექიმო მეცნიერება მტკიცე საფუძველზე; მაგრამ მისი აღმოჩენის დასაფასებლათ საჭიროა ვიცოდეთ, რას წარმოადგენდა სისხლის მოძრაობის ფიზიოლოგია.

ჰარვეის დრომდე, ჰარვეის აღმოჩენამდე მეცნიერება აი რას ღაღადებდა:

ტანში არის ორ-გვარი სისხლი,—ვენების სისხლი და არტერიების სისხლი: პირველი მზადდება ღვიძლში და აქედან ვენებით მთელ ტანს მოუდის.—ის ტანის ნაწილებს ასაზრდოებს. არტერიების სისხლი ფილტვებიდან გულში მიდის, აქედან იფანტება მთელ ტანში; მას დააქვს სითბო და სასიცოცხლო ძალა. არტერიების სისხლი ვენებში არ გადადის და არც გულში ბრუნდება; არც ვენების სისხლი გადადის არტერიებში. ამ გვარათ მაშინდელმა ფიზიოლოგიამ არ იცოდა, რომ არტერიების სისხლი ვენებში გადმოდის და ვენებიდან გულში ბრუნდება; გულიდან ადის ფილტვებში, განახლდება,

ჩამოდის გულში და ისევ მთელ ტანში იფანტება არტერიებით. მაშინდელი მეცნიერება დარწმუნებული იყო, რომ ვენების სისხლი ღვიძლში მზადდებოდა; ეს დიდი შეცდომაა. მეცნიერება ამტკიცებდა, არტერიებს სასიცოცხლო ძალა დააქვს ტანშიო. ესეც ტყუილია: ტანში არავითარი სასიცოცხლო ძალა არ არსებობს და არც არტერიებს დააქვთ; ადამიანის და ყველა ცხოველის ტანში ყოველისფერი ბუნებრივი კანონებით წარმოებს. ჰარვეიმ უნივერსიტეტშივე ეჭვის თვალით შეხედა ამ გვარ სწავლას. მან გამოიანგარიშა: გული შეუჩერებლათ გზავნის სისხლს ტანში; ეს სისხლი რომ ისევ უკან არ ბრუნდებოდეს გულში, ყოველ საათში გულმა რამდენიმე ფუთი სისხლი უნდა მიიღოს საიდანმე; ეს კი შეუძლებელია, მაშასადამე სისხლი უსათუოთ უნდა ტრიალებდესო.

ამას შემდეგ ჰარვეი შეუდგა შრომას; ის ცოცხალ პირუტყვებზე იკვლევდა სისხლის მოძრაობას; სწავლობდა გულისა და მილების მოწყობილობას და ცხადათ დარწმუნდა, რომ სისხლი ტრიალებდა. როდესაც ჰარვეიმ 1616 წელს ლექციების კითხვა დაიწყო, თავის გამოკვლევაც შეატყობია და აუხსნა მსმენელებს; ლექციების დროს ის ცოცხალ პირუტყვებზე ამტკიცებდა თავის აღმოჩენას და ამ გვარათ თავის აზრს უტყუარ ცდაზე ამყარებდა. მსმენელები უმეტესათ ექიმები იყვენ; ჰარვეის აღმოჩენა ზოგს მოსწონდა, ზოგს კი არ წამდა, ჰარვეის მეცნიერების მოღალატეს უძახდა, როგორ თუ მან გამოჩენილი მეცნიერების სწავლაში ეჭვი შეიტანა და სხვა გზას დაადგაო. პირველნი ჰარვეის საზოგადოებაში აქებდენ, მეორენი კი ცუდ ხმებს ავრცელებდენ. ამიტომ ჰარვეიმ განიზრახა, თავისი გამოკვლევა მეცნიერებისათვის წარედგინა, რომ მას უტყუარი მსჯავრი დაედვა, და 1628 წ. გამოსცა თავისი წიგნი.

ამ უკვდავ წიგნში სისხლის მოძრაობა ისე არის აწერილი, როგორც შენ უკვე იცი, ჩემო მკითხველო! ჰარვეის წიგნმა მეცნიერებაში საშინელი ალიაქოთი გამოიწვია; გაბრაზდენ მეცნიერები და, აქაო და ჰარვეიმ სიტყვა გაგვისწორაო, დაუწყეს მას ლანძღვა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინება. იმის მაგიერათ, რომ ცდითა და დაკვირვებით დარწმუნებულიყვენ, ტყუოდა თუ მართალი იყო ჰარვეი, მათ გადაჩხრიკეს ძველი გამოჩენილი მეცნიერების ნაწერები, ამოსწერეს მათი აზრი სისხლის მოძრაობის შესახებ და სიამაყით მიახალეს ჰარვეის: აი ჩვენი გენიოსები რას ამბობდენო. რასაკვირველია, სხვისი აზრის ამგვარათ დარღვევა შეუძლებელია, ჰარვეი თავის აზრს ხომ ცალიერი სიტყვით არ ამტკიცებდა; ის ყველა მოწინააღმდეგეს ეუბნებოდა: მე ავწერე ის, რაც ნამდვილათ არსებობს, რისი დანახვაც ყველას შეუძლია; გაიმეორეთ ჩემი ცდა პირუტყვებზე და თქვენც დარწმუნდებითო; პტყელი სიტყვებით კი ვერავინ ვერ დაარღვევს მას, რისი დარღვევა ან დამტკიცება მხოლოთ ცდას და დაკვირვებას შეუძლიაო.

მაგრამ მიუხედავათ ამისა თითქმის ყველა პროფესორებმა და ექიმებმა უარყვეს ჰარვეის გამოკვლევა, ჰარვეის შეშლილი უწოდეს, მის დაღუპვასაც კი ცდილობდენ და მეფეს ეუბნებოდენ: მაენე პირია და უნდა მოვიცილოთო. საზოგადოებაც მას გადაუდგა: ერთ დროს გამოჩენილი ექიმი ახლა სრულიად შეიძულეს ავათმყოფებმა და მას ძვირათ თუ ვინმე მიმართავდა. ჰარვეი ერთ თავის მეგობარს სწერდა: „აქამდის ავათმყოფებს ვერ ავუდიოდი, ახლა სიახლოვესაც ალარავინ მეკარებაო“. ცხრა წელიწადი ასე დევნიდენ და ლანძღავდენ ჰარვეის, მაგრამ ჭეშმარიტება ადრე იქნება, თუ გვიან, მაინც გაიმარჯვებს; გამოჩნდა თითო-ოროლა მეცნიერი, რომლებმაც ჰარვეის ცდა გაიმეორეს, დარწმუნდენ, რომ სისხლი მართლა ტრიალებდა და ჰარვეის მიემხრენ. ამგვარ პირთა რიცხვმა თან-და-თან იმატა. გაჩნდენ ახალგაზრდა მეცნიერები, რომლებმაც ახალი მაგალითებით დაამტკიცეს ჰარვეის სიმართლე. ოცი წლის განმავლობაში ძველი ფიზიოლოგია თან-და თან დაირღვა და მის ალაგას ყველამ აღიარა ჰარვეის ფიზიოლოგია.

წინეთ თუ ჰარვეის ლანძღავდენ და დასცინოდენ, ახლა ჯერი მის მტრებზე მიდგა: გამოჩენილმა მწერლებმაც კი აიგდეს ისინი სასაცილოთ თავის ნაწერებში. ნუ თუ ამდენი ხანი იყო საჭირო, რომ

ეს პატარა ჭეშმარიტება მეცნიერებას მიელოვო? ნუ გაიკვირვებ, მკითხველო, ყოველ ჭეშმარიტების მქადაგებელს ამგვარი ბედი ხვდება წილათ. ისტორია გვიმტკიცებს, რომ უმეტესობას შეჩვეული სიბნელე ურჩევნია შეუჩვეველ სინათლეს.

ჰარვეის სახელი თან-და-თან გაიზარდა. მან გარდაქმნა მთელი საექიმო მეცნიერება და ამიტომ საპატიო ალაგიც დაიჭირა უკვდავთა შორის. ჰარვეის შრომა სამეცნიერო ასპარეზზე სისხლის მოძრაობის აღმოჩენით არ დამთავრებულა; მოხუცებულობამდე ის სულ შრომობდა და მეცნიერებას სხვა მხრივაც დიდი სარგებლობა მოუტანა. ორიოდე სიტყვაც ჰარვეის შინაური ცხოვრების შესახებ და ჩემი წერილი დამთავრებული იქნება.

ჰარვეი იყო პატარა ტანის ხმელხმელი კაცი; ხასიათი ცოცხალი და მხიარული ჰქონდა, გული კეთილი და მოსიყვარულე. თუმცა მეცნიერებაში გართული იყო, მაგრამ ცხოვრებასაც თვალყურს ადევნებდა; მამული ძალიან უყვარდა და ერთხელ ბრძოლაშიაც კი მიიღო მონაწილეობა, თუმცა ომისა და სისხლის ღვრის დიდი წინააღმდეგი იყო. ცოლი ადრე შეირთო, მაგრამ შვილები არ ჰყოლია. საზოგადოებაში ჰარვეი კარგი მოლაპარაკე იყო. „ჰარვეის რომ მოუსმენ, უნებლიეთ დაიჯერებ, რომ სისხლი ტრიალებსო“, ამბობდენ მისი თანამედროვენი.

როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, ჰარვეის მამა ვაჭარი იყო; მისმა ძმებმაც ვაჭრობას მოჰკიდეს ხელი და დიდი სიმდიდრეც შეიძინეს. ჰარვეი კი სიმდიდრეს არ ეძებდა, მეტათ უბრალოთ ცხოვრებდა და, თუ რამ რჩებოდა, სხვა-და-სხვა საქველ-მოქმედო საქმეს ახმარებდა. თუმცა ბევრს შრომობდა, მაგრამ ზომიერი ცხოვრებისა გამო ჯანმრთელი იყო. 80 წლამდის იცოცხლა და 1657 წელს 3 თიბათვეს გარდაიცვალა. გამოჩენილი კაცის ხასიათი და მოქმედება ბევრის მხრით არის საყურადღებო, მაგრამ, თუ ამ მხრივ ვერ დაგაკმაყოფილე, ჩემო მკითხველო, ნუ დამემდურები: შესანიშნავი ფიზიოლოგის შინაური ცხოვრებისა და ხასიათის შესახებ ძალიან ცოტა ცნობებია დარჩენილი.

ვანო გომართელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა და თამრო.

ერთ ჰატარა სოფელში, სახელათ-გრ— ში, მშვენიერ გრილ თიბათვის დილას, წვიმის შემდეგ, შალვა და თამრო დერეფანში ისხდენ მაგიდასთან და გლეხის გოგო-ბიჭები გარშემო შემოხვევოდენ.

ალვა და თამრო ობლები იყვენ: შალვა იყო 14 წლისა და თამრო 12-ისა. მამა ადრე დაჰკარგეს. დედამ შვილები სასწავლებლათ მიაბარა თფილისში; თითონ სოფელში ცხოვრობდა და, რამდენათაც შეეძლო, მხნეობდა. ელენე (ასე ერქვა თამროს და შალვას დედას) სოფელში მთელ გლეხკაცობას უყვარდა. ყველას ტკბილათ ექცეოდა და მშობლიურ დარიგებას აძლევდა. იგი იყო აღზრდილი მცხეთის მონასტერში, სადაც წინანდელ დროში თითქმის ყველა კარგ ოჯახის შვილებს ზრდიდენ. ელენე იყო ღვთის მოყვარე და მცოდნე ხუცური და მხედრული ენისა და წერა-კითხვისა; თითქმის არ იყო წიგნი ქართულ ენაზე, რომ იმას არ წაეკითხა. კეთილმა დედამ თავის შვილებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საც ჩაუნერგა გულში ხალხის სიყვარული და მისმა ჰატარა შვილებმაც უწმიდეს მოვალეობათ ჩასთვალეს დედის დარიგების ასრულება: იშოვნიდენ თუ არა თავისუფალ დროს, შეჰკრებდენ სოფლის გოგო-ბიჭებს და ასწავლიდენ ყველაფერს, რაც კი სკოლაში ესწავლათ.

აი, ახლაც, როდესაც საზაფხულოთ დაითხოვეს უმაწვილები, შალვა და თამრო სიხარულით გაეშურენ სოფლისაკენ, რომ ჯერ თავისი კეთილი დედა გაეხარებინათ და მერე გლეხის შვილებისათვის ეზრუნათ. ჰატარა გოგო-ბიჭებიც ხომ მოუთმენლათ ელოდენ იმათს მისვლას. და როდესაც დრო დადგებოდა მათი მოსვლისა, წამ და უწუმ აირბენდენ „ქალბატონთან", ხან ერთი ეკითხებოდა, ხან მეორე.—როდის მოვლენ შალვა და თამროვო.

— აი, შვილებო, საცაა მოვლენ—მიუგო ერთ საღამოს ელენემ ჰატარა ბავშებს, რომლებიც აღტაცებით გაექანენ სოფლის ორღობეებისაკენ მათ შესახვედრათ.

რა სასიამოვნო სანახავი იყო, როდესაც გახარებულმა სოფლის გოგო-ბიჭებმა ერთი წივილ-კივილი მორთეს ჰატარა მგზავრების დანახვაზე. შალვამ და თამრომაც მეგობრულათ მისალმებას შემდეგ ერთ ხმათ ახარეს: „ბევრი წიგნები მოგიტანეთ და ხვალ დილით ყველა ჩვენთან მოგროვდითო".

ელენე შორიდან გადმოჰყურებდა ამ სურათს და გული სიხარულით უცემდა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლაც, როგორც ზემოთა ვნახეთ, მეორე დილით შალვა და თამრო ორ ჯგუფათ გაეოფილს ბავშებს ასწავლიდენ. შალვა აღტაცებული იყო თავის მოწაფე ნინიკასაგან: რა კი თხვასაც ამლევდა, ყველაზე სწრაფ და გონივრულ პასუხს იღებდა იმისაგან. ამიტომაც ძალიან უყვარდა შალვას ნინიკა და ყოველთვის თავაზიანათ ექცეოდა.

შალვამ სწავლის შემდეგ ერთი საინტერესო მოთხრობა წაუკითხა. ყველა ბავშები აღტაცებაში მოვიდენ; კიდევ ეხვეწებოდენ შალვას—სხვა წიგნი წაეკითხა იმათთვის, მაგრამ შალვამ აუხსნა, მეტი კითხვა აღარ შეიძლება, ახლა თქვენ-თქვენ დედ-მამას უნდა მიეშველოთ მუშაობა ში.—აგრეთვე თამრომაც დაითხოვა თავის მოწაფე ქალები, რომ კალოზე ეშველათ დედმამისათვის.

ბავშები აძას შემდეგ გალომებულნი გაექანენ კალოსაკენ სამუშაოთ და, რასაც წინათ ოთხ საათს აკეთებდენ, ახლა ორ საათს გაათავეს.

საღამოზე თამრო და შალვაც გაეშურენ ნინიკას მამის კალოსაკენ და ისინიც შეველოდენ განიავებას და ბზის შეზიდვას. როდესაც გაათავეს მუშაობა, შალვამ და თამრომ კალოზე ფერხული გამართეს და შვენიერის ხმით გალობდენ; შემდეგ თამრო და შალვა თითქმის ყველა ბავშვებს ცალ-ცალკე შეჰყვენ და დაწოლის წინ ლოცვა ათქმევინეს.

სამი თვის განმავლობაში ყოველ წელს ამნაირათ ატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებდენ დროს: სწავლასაც ასწრობდენ, მუშაობასაც და საღამოს ფერხულის სიმღერით იშლებოდენ. თამროს და შალვას წამოსვლის დრო რომ მოატანდა ხოლმე ტფილისში, სოფლის ბავშები მგლოვიარეთ შეიქნებოდენ. მაგრამ შალვა ამ სიტყვებით ამხნევებდა იმათ: ვიდრე ჩვენ მეორეთ მოვალთ, ოქვენ ბევრ გაკვეთილებს მოგცემთ და წიგნებს გამოგიგზავნით; ასე რომ ჩვენ მეორეთ მოსვლამდის ორჯელ მეტი გეცოდინებათ და უფრო კარგი ბავშებიც იქნებით, თუ რომ ყველა კარგი წიგნის შინაარსს დაიხსომებთო.

რასაკვრელია, შალვას და თამროს შრომამ უნაყოფოთ არ ჩაიარა: თუ ისინი სამ თვეს ასწავლიდენ სოფლის ბავშებს, სამაგიეროთ მათი მოწაფეები ცხრა თვეს სულ იმის ცდაში იყვენ, რომ ყველა წაკითხული კარგათ დაეხსომებინათ და თავიანთი სწავლა სხვებისათვისაც გაეზიარებინათ. რაც დრო მიდიოდა, სოფლის გოგო-ბიჭები უფრო იძენდენ სწავლას და თანაც შალვასა და თამროსადმი პატივისცემა და სიყვარული უორკეცდებოდათ.

ოცდა ათს მარიამობისთვეს საღამოს ექვს საათზე სოფელ გრ—ის ახლო, რკინის გზის სადგურზე მთელი სოფლის ბავშები აცილებდენ თამროს და შალვას. მეორე ზარის შემდეგ, თამრომ და შალვამ ყველანი გადაჭკოცნეს და გლეხის ბავშებმაც გზა დაულოცეს. დაიძრა თუ არა მატარებელი ბავშებმა შვენიერი ხმით დასძახეს „მახსოვს პირველათ სასწავლებელშიო“...

მარიამ დემურია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარიამოგა.

ესო ქრისტე რომ ჯვარზე იტანჯებოდა, დედა მისი მარიამი იქვე იყო, თავისი ჯვარცმული შვილის ფეხებისთვის მოეხვია ორივე ხელები, თავი ჯვარზე მიეყრდნო და გულდათუთქული ცრემლებს აფრქვევდა. იქვე მახლობლათ იდგა ქრისტეს საყვარელი მოწაფე იოანე გულ ხელ დაკრეფილი და მწუხარებით შეცქეროდა თავის წაძებულ მოძღვარს.

ქრისტემ გადმოხედა ჯვარიდან საყვარელ დედას, იცოდა რომ მას მის მეტი ნუგეში არავინ ჰყავდა ქვეყანაზე და ამიტომ უბძანა თავის საყვარელ მოწაფე იოანეს: „აწ შენ იდედე დედა-ჩემი და ჩემს ნაცვლათ უპატრონე". შემდეგ უთხრა საყვარელ დედას: „დღეიდან იოანე იქნება შენი შვილი"! ასე და ამგვარათ ჩააბარა ქრისტემ მარიამი იოანე მახარობელს.

ქრისტეს გადაცვლებას და დასაფლავებას შემდეგ იოანემ წაიყვანა მარიამი თავის სახლში და ისე უვლიდა, როგორც საკუთარ დედას. მაგრამ მეირფასი შვილის წამებამ ისე ძრიელ იმოქმედა საბრალო დედაზე, რომ იგი თან-და-თან ჰსუსტდებოდა და დიდხანს აღარ უცოცხლია.

ქრისტეს ამაღლებას შემდეგ, როცა მის მოწაფეებს სული წმიდა გამოეცხადათ, გაემგზავრენ სხვა-და-სხვა ქალაქებში ქრისტეს რჯულის საქადაგებლათ. მარიამი იერუსალიმში დარჩა და იქ ცხოვრებდა.

ერთხელ მთავარ-ანგელოზი გამოეცხადა მარიამს და აუწყა: მოემზადე, მოაღწია შენმა გადაცვალების დრომაო. ღვთის-მშობელი სიხარულით მოემზადა. ღვთის განგებით იმ დროისათვის ყველა ქრისტეს მოწაფეები, ერთს გარდა, რომელსაც თომა ერქვა, დაბრუნდენ იერუსალიმში.

15-ს მარიამობისთვეს მარიამს მიეძინა და აღარ გამოუღვიძია — ძილში გადაიცვალა უწვალებლათ. მოციქულები შაიკრიბენ, მოამზადეს გადაცვალებული მარიამი გასასვენებლათ, შეიტანეს ერთ გამოქვაბულში და იქ დაასვენეს, კარებზე ლოდი მიადვეს. გავიდა რამდენიმე ხანი და თომა მოციქულიც დაბრუნდა იერუსალიმში. მას მოციქულებმა ყველაფერი დაწვრილებით უამბეს მარიამის საკვირველი მიძინების შესახებ. თომას ძრიელ უნდოდა ენახა ღვთის-მშობლის გვამი და მთხოვეოდა მას, ამიტომ თხოვა მოციქულებს გაეხსნათ გამოქვაბული, მათაც აღუსრულეს თხოვნა; მოაშორეს ლოდი გამოქვაბულს და შევიდენ შიგ, მაგრამ ძრიელ გაჭკვირდენ: ღვთის-მშობლის გვამი აღარ იყო გამოქვაბულში.

მაგრამ მათი გაკვირვება თვით ღვთის-მშობელმა გა-

ჰფანტა: იგი გამოეცხადა მათ მრავალი ანგელოზებით და ამცნო შემდეგი:

,,მე აღმადგინა და აღმამაღლა საუკუნეთმა მეთან ჩემან იესო ქრისტემაო''.

მოციქულებს ძრიელ გაეხარდათ და ღმერთს მადლობა შესწირეს.

ამგვარათ გარდაიცვალა, აღდგა და ამაღლდა იესო ქრისტეს დედა. ქრისტიანები ყოველ წელს იგონებენ მარიამის გაბაცვალების დღეს, 15-ს მარიამობისთვეს, დიდი მზადებით ეგებებიან და უქმობენ.

ამ დღეს ასწაულ დღეს ჩვენ ,,მარიამობას'' ვეძახით.

გ. წულუკიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ ე შ ა პ ი.

ედა-მიწა დაყოფილია ხმელეთსა და წყალს შუა, მარა ეს დაყოფა სწორი კი არ არის. ედა-მიწა სამ ნაწილათ რომ დაჰყო, ხმელეთს მარტო ერთი ნაწილი ერგება, წყალს კი ორი მესამედი. თვალ-გადუწვდენელი სივრცე უჭირავთ ზღვა-ოკეანებს. ზოგ ოკეანეში წყალი ცივი არ არის, არას დროს არ იყინება და მუდამ ცურვაც შეიძლება. ამ ოკეანეში რომ კუნძულებია, ტიტვლები კი არ გეგონოთ; ისინი შემოსილია მდიდარი ხე-ტყით და გავსილია ლამაზი ფერად-ფერადი ფრინველებით. სულ სხვაა ჩრდილოეთის ოკეანე. ტყუილათ კი არ ჰქვია ამ შორეულ ოკეანეს ყ ი ნ ულ ი-ა ნ ი. ამ ოკეანეშიც არის აქა-იქ კუნძულები, მარა ზედკი არავინ არ ცხოვრობს, არც ხომალდით ცურვა შეიძლება დიდ ხანს. ეს იმიტომ რომ ამ ადგილებში არას დროს არ არის თბილი და გრძელი ზაფხული.

ზამთარი ცხრა-ათ თვეს გაატანს და ისეთი სიცივეები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იცის, რომ ჩვენ არც კი შეგვიძლია იმის წარმოდგენა; თოვლი იქ არას დროს არ დნება. ზღვა-ოკეანეში ცურავენ ეინულები, ნამდვილი ეინულის მთები და ძინდვრები. ზაფხულობით ეს მცურავი ეინულები ნაკლებია, მარა ზაფხული იმდენათ მოკლეა, რომ ხომალდები ვერც კი ასწრობენ ზღვის ნაპირებიდან შორს ზღვაში შესვლას. შორს რომ წახვიდე, უბედურობა აუცილებელია. არა ერთხელ მომხდარა, რომ მცურავ ეინულებს მოუმწყვდევია ხომალდი ისე, რომ განძრევაც აღარ შეიძლებოდა. ხომალდზე მეოფი ხალხი კი სიცივისა და შიმშილისაგან სულ ამოჟლეტილა. ამიტომაც არის, რომ, როცა ვინმეს ციმბირში გზავნიან, ჩვენ იმას გამოვიტირებთ, აღარ გვაქვს იმედი, რომ ის დიდ ხანს იცოცხლებს. სწორეთ ციმბირს აკრავს ჩრდილოეთიდან ეს ეინულის ოკეანე. ამ ოკეანეში რომ კუნძულებია, სულ თოვლით და ეინულითაა დაფარული. ალაგ-ალაგ ზაფხულში თოვლი მოასწრებს დადნობას და მაშინ ამ ადგილებში თავს ამოჭეოფს ოდნავ მოლხვობილ მიწიდან ზოგიერთი ბალახი და ხავსი. მარა არც ხეს, არც ბუჩქს იქ ადამიანის თვალი ვერ დაინახავს. აი, ამისთანა ცივ ოკეანე-ზღვაში ცხოვრობს ვეშაპი. ვეშაპი სხვა-და-სხვა გვარისაა. ზოგი დიდია, ზოგი უფრო პატარა. ჩვენ კი აქ გავიცნოთ ის ვეშაპი, რომელსაც ადამიანი ყველაზე უფრო ემტერება და ხოცავს თავის სარგებლობისთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარეგნობით ვეშაბი ვეებერთელა თევზს მოგვაგონებს. ის მრიელ სქელია და მაღალი. სიგრძით ვეშაბი ცხრა საჟენამდის იზრდება. თავი მეტათ დიდი აქვს. თავს მთელი სხეულის მესამედი ნაწილი უჭირავს, ასე რომ მარტო თავი თითქმის სამი საჟენის სიგრძეა. უკან ტანი დაბოლოვებულია დიდი საცურავი ფრთით. თევზს ბოლო ეირაზე აქვს და ვეშაბს კი დაწვენილი. თავთან კიდევ აქვს იქით-



ვ ე შ ა ბ ი.

აქეთ თითო-თითო საცურავი ფრთა. ტანზე არც ქერტლი არც ბალანი არ ასხია, ისე გამოსოსვილია, მხოლოთ ტუჩებზე აქა-იქ ასხია ულვაშები. ვეშაბი ზევიდან სრულიად შავია, ქვემოდან კი თეთრი. ვეშაბის თავი სიგანით ორი საჟენია, სიმაღლით კიდევ უფრო მეტი. ღაბაბი იმდენათ დიდი აქვს, რომ შიგ შეიძლებ მოთავსდეს ნავი თავის იალქნებით და მენავეებით.

მართალია, ვეშაპს ვეებერთელა თავი აქვს, მარა ამ თავში მცლები ცოტაა. ზემო ება მოგვაგონებს აკუზულ ხიდს. ის შედგება ორ სხვილ და მოხრილ მცლისაგან. ეს მოხრილი მცლები კაცმა მიწაზე რომ დადგას, იმდენი ადგილი დარჩება ქვეშ, რომ თავისუფლათ შეიძლება ურემმა შიგ გაიაროს. ზემო და ქვემო ებები ერთმანეთს არ ედებიან, არ ეკარებიან, მათ შორის დარჩენილია თავისუფალი ადგილი, ასე საქენ ნახევრამდის, ამ ცარიელ ადგილს ჩამოფარებული აქვს ტუჩები. ეს ვეებერთელა ტუჩები ქონითაა გატენილი და ამიტომ თითქმის უმოძრავოთაა. კბილები ვეშაპს არა აქვს. სამაგიეროთ ზემო ებაზე ჩამწკრივებული აქვს ნამდვილი მცლის სარები. თითო მხარეს ეს სარები აქვს სამას-სამასი, ასე რომ სულ ვეშაპს ზემო ებაზე 600 სარი აქვს. ეს ბრტყელი და რქის მაგვარი სარი ხან-და-ხან სიგრძით ორ საქენამდის ეზრდება. აი ამ სარს ემახიან ვეშაპის ულვაშს. მარა, როგორც ხედავთ, ულვაშს ეს სარი სრულიად არ ჰგავს. როცა ვეშაპს პირი დახურული აქვს, მაშინ სარები არ მოჩანს.

ასეთ ვეებერთელა ცხოველს, გეგონება, უანურატოც, საულაპავიც დიდი ექნებაო. წარმოიდგინეთ, რომ ეს ასე არ არის. თუმცა პირი იმოდენა აქვს, რომ მთელი ნავი ჩავა შიგ, მარა უანურატოში კი ადამიანის ხელი ძლივს გაეტევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორიდან რომ შესედო ვეშაპს, დრო-და-დრო შენიშნავ, რომ მისი ნესტოებიდან ამოაშხაპუნებს წყალი. როგორ გაჩნდა ეს წყალი იქ? ვეშაპი სუნთქავს ჰაერს ფილტვებით, ეს ჰაერი ჩადის ნესტოებიდან, ნესტოები კი მაგრათ არაა მოხურული, ასე რომ წყალი ასწრებს შიგ ჩასვლას. ვეშაპი ხშირ-ხშირათ ამოჰყოფს თავს, წყალს ზევით, რომ ჰაერი ჩაჰყლაპოს. მარა სანამ ჰაერს ამოისუნთქავდეს, წინდაწინ ამოისვრის ნესტოებიდან იმ წყალს, რომელიც შიგ ჩაპარულა და მაშინ მის გარეშემო მთელი წყლის მტვერი ადგება.

ვეშაპის მკალი არ არის მკვრივი. იგი სულ ერთიანათ ტვინითაა გაჟღენთილი და ნახვრეტიანებია.

ტვინი ვეშაპს სხეულთან შედარებით ძრიელ პატარა აქვს. ერთხელ ერთი ახალ-გაზდა ვეშაპი ასწონეს. გამოდგა, რომ მას სამი გირვანქა ტვინი ჰქონდა, სხეულმა კი სამი ათასი ფ თი აიწონა. თავზე ვეშაპს ორი პატარა თვალი აქვს; ეს თვალები ოდნავ მეტია ხარის თვალზე. გარედან ვეშაპს ეური არა აქვს. იმის მაგიერ მას აქვს ორი პატარა ნახვრეტი.

ენა ვეშაპს აქვს მეტათ დიდი და ქონით გაჟღენთილი. ვეშაპს მოძრაობა ძრიელ ემნელება, უჭირს. ვეშაპს ტუავი აქვს ტიტველი, რბილი ხავერდსავით, მგრძნობიარე და სათუთი. პატარა რჩილიც რომ დააჯდეს, ის მაშინვე იგრძნობს და შეკრთება. მთელ სხეულზე ტუავს ქვეშ დაჰვე-

ბა ქონი, სისქით ნახევარ არშინიდან ორ არშინამდე. ეს ქონი მოუვითალო, ხან კი მოწითალოა. ამ ქონს გადაადნობენ და მიიღებენ თხელ ქონს, რომელსაც ეძახიან „ვარვანს“. ოთხ ფუთ გაუდნობ ქონიდან გამოდის სამი ფუთი გადამდნარი. ქონი ხომ წყალზე უფრო მსუბუქია და მასზე ტივტივებს, ცურავს, ამიტომაც რაკი ვეშაპს ბევრი ქონი აქვს, მისი სხეულიც წყალზე ცოტა უფრო მსუბუქია. დიდი ვეშაპი იწონს ხუთი ათას—ექვს ათას ფუთამდის.

ვეშაპს რომ შეხედო გეგონება თევზი არისო, მარა ეს შეცდომაა. თევზი, როგორც ვიცით, მრავლდება ქვირითით. იგი დაჭერის ქვირითს და ამ პატარ-პატარა თესლიდან გამოდის ლიფსიტები. ისინი თავის ძალ-ღონით ირჩენენ თავს. იმათ დედა არც რძეს ამ აძლევს და არც არაფერს. ვეშაპი კი ცოცხლათ შობს შვილს ცხრა-ათ თვეზე. ახალგაზდა შვილი თან დასდევს დედას, რომელიც დრო და დრო წამოწვება გვერდზე და მიაწოდებს ცურს. მაშ ვეშაპი ისე, როგორც ცხენი, ძროხა, ძაღლი, ეოფილა ძუძუ მწოვარი ცხოველი. დედალ ვეშაპს ძუძუზე ორი თავი აქვს. ცურში ძრიელ ბევრი რძეა. ექვსი კვირის განმავლობაში პატარა ვეშაპი მარტო რძით იკვებება და, როგორც ამბობენ, თითო ჭამაზე თურმე თითო ბოჭკა რძეს გამოსწოვს. ვეშაპის რძე გემრიელი და ნოყიერია. ზოგიერთ ვეშაპის მჭერელს ეს რძე უსვამს და მეტათ მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წონებია, ასეთია ვეშაპის გარეგნობა. ახლა წარმოვიდგინოთ მისი ყოფა-ცხოვრება.

როგორც ვთქვით ვეშაპის საცხოვრებელი ადგილია ეინულიანი ოკეანე. ამ ოკეანეში დასეირნობენ ვეშაპები ან ცალ-ცალკე, ან წყვილ-წყვილათ. ხან ერთათ მოიყრის თავს ათიოდე ვეშაპი. ეს ვაშაპები წყალში თავისუფლათ ჭყრიან, ასე რომ წყალს ზევით მოჩანს მარტო თავის კოსრო (კეფა) და ზურგი. შორიდან რომ შეხედო მწოლარე ვეშაპს, გეგონება რაღაც შავ კუნძულს ვხედავო. ცხოველი ფშვინავს და ნესტოებიდან ამოჭქუხს ორთქლი. მარა კიდევ უფრო შვენიერი და თვალ წარმტაცი სურათია, როცა რამდენიმე ვეშაპი ერთათ თავს მოიყრის. აი შორიდან უცქერი და გგონია, შენ წინ შვენიერი სოფელია, მის ბუხრებში ცეცხლია გაჩაღებული და ზევით კომლი ამოდის.

ვეშაპის ზურგზე დასახლებულია აუარებელი ზღვის ჰატარა ცხოველები: ლოკოკინები, კიბოები და სხვა. ფრინველები ქივილ-ხივილით დასტრიალებენ ვეშაპს, ასხდებიან მას ზურგზე და მადიანათ შეექცევიან ხოლმე ამ ჰატარა ცხოველებს. ვეშაპს შეუძლია საათში ოცდაათი ვერსი გასცუროს, მარა როცა დაჯრილია, მაშინ ჩაიეურჯუმელავებს უფსკრულში საოცარი სისწრაფით. იმას ცურვაში შველის კუდი. გვერდის საფრინავები კი მარტო თავის შესამაგრებლათ აქვს. ძრიელ ღრმათ წყალში დაშ-

ვება არ შეუძლია, რადგან ის ჭაერს სუნთქავს. წყალში რომ დააგვიანდეს, სული შეუგუბდება. ხანდახან ვეშაპმა გათამაშებაც იცის. უეცრათ ამოხტება ზევით ან და თავს ჩაჭკრავს წყალში, კუდს კი გააქანებს და წყალზე ტლაშანს გააღებინებს. ამისთანა ნავარდი ახლო-მახლო მეოფ ნავისა და ხომალდისთვის ძრიელ საშიშია. ამ დროს ზღვა ისე აღელვებულია, თითქო დუღსო.

ვეშაპი იკვებება წვრილმანი ცხოველებით. დიდი ცხოველის გადაყლაპვა მას არ შეუძლია: ყელი ვიწრო აქვს. ეს წვრილმანი ცხოველები ლოკოკინები და სხვებიც ეუოფა მას. ზღვაში ლოკოკინები იმდენათ ბევრია, რომ ზოგ ადგილას ზღვას მათი ფერი ადევს. ცურავს ვეშაპი ზღვა-ოკეანეში და ეძებს სწორეთ ამისთანა ადგილს. როცა ამ ადგილს იპოვის, ის დააღებს პირს და ჩქარა გაექანება. ასე პირ დაღებული ცურავს, სანამ პირი სულ არ აევსება ცხოველებით. რა კი იგრძნობს ენა და პირი სავსე მაქვსო, მაშინვე პირს დახურავს! პირში რაც წყალი მოჭყვება სარეს შუა გამოვა, პატარა ცხოველები კი შიგ მოემწყვდევიან.

დედალ ვეშაპს ძრიელ უყვარს თავის პატარა შვილი, ისე უყვარს, რომ გაჭირვებაშიაც არ შორდება მას. ეს კარგათ იციან ვეშაპზე მონადირეებმა. მათთვის ადვილია ახალ-გაზდა უგუნური ვეშაპის დაჭერა. რა კი პატარა ვეშაპს დაიჭერენ, მაშინ დედა აღარ მოშორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დება. ის ბიაშურებს თავის შვილს, სწევს ზევით, რომ ამოასუნთქვიოს, ანიშნებს მტერს მოშორდიო, ამოიფარებს საფრინავში და, სანამ ჰირში სული უდგას, თავს არ დაანებებს.

აი ერთი მაგალითი. ახალ-გაზდა ვეშაპი ჭვილთით დასჭრეს. მაშინვე გაჩნდა მასთან დედა. იმან სრულიად არ მიაქცია ყურადღება მის ახლო მდგომარე ნავს, საიდანაც ჭვილთი გადმოისროლეს. ამოიფარა შვილი და ფინდიხივით ჩაიყურჭუმელავა წყალში. მარა ჩქარა სუნთქვა მოუნდა და ხელ-ახლა ამოჭყო თავი. მაშინ დაედევნენ ნავები, ესროლეს ჭვილთი—მოხვდა, მარა არ ჩაერჭო ხორცში, ესროლეს მეორე, იმასაც ასე მოუვიდა, ესროლეს მესამე და ის კი ჩაესო, მარა დედა ვეშაპი სრულიად არ ცდილობდა გაქცევას. ის ამოდგომოდა გვერდში ჰატარა შვილს, რომელსაც ნავზე თოკით მიკრული ჭვივლთი ჩარჭობილი ჰქონდა ხორცში. მერე კიდევ ესროლეს სამი ჭვილთი და ბოლოს ერთი საათის წვალებას შემდეგ დალია სული, სისხლით დაცლილმა დედამ.

ასეთი თავ განწირულებით შვილის სიყვარული ადამიანის გულს ხომ მაინც ვერ მოალბობს; იგი შეუბრალებლათ ხოცავს ვეშაპებს თავის სარგებლობისთვის. ვეშაპის ჭერა ძალიან სარგებლიანი საქმეა. თითო მოკლულ ვეშაპზე შეიძლება კაცმა აიღოს რვა-ათი ათასი მანათი. ბვირფასია ვეშაპს კბილების მაგიერი ისრები რომ აქვს, აგრეთვე

ულვაშები და ქონი. ამიტომაც კარგა ხანია ვეშაპის ხოცვას მისდევენ. ზოგიერთ ადგილას სულ მოსპეს მისი ხსენება. ვეშაპის დასაჭერათ განგებ მოამზადებენ მთელ ხომალდს. ამისთანა ხომალდი უნდა იყოს მსუბუქი და მასთან მაგარი, რომ ეინულებმა არ დააზიანოს. ყოველ ხომალდს თან გააყოლებენ შვიდ-რვა მსუბუქ ნავს და ოც-და-ათ—ორმოც ზღვაოსანს. ხომალდები გზას გაუდგებიან აპრილში და შემოდგომის დამდეგს უკან ბრუნდებიან. აი ხომალდმა შესცურა ეინულიან ოკეანეში, სადაც ვეშაპის შეხვედრა უკვე მოსალოდნელია. ახლა უსათუოთ უნდა უდარაჯონ. ერთი რომელიმე ავა ანძის ხეზე და იქიდან უთვალთვალებს, ხომ არ მოჩანს სადმე ნადირი. რაკი თვალს მოჰკრავს, მაშინვე ამხანაგებს აცნობებს. ჩამოხსნიან ხომალდიდან ნავებს, თითო ნავში ჩაჯდება რამდენიმე მენავე და ვეშაპზე მონაკირე. ამ მონადირეს ხელში აქვს ექვსიოდე ისარი და რამდენიმე ჭვილთი. ჭვილთი რკინის მსუბუქი ისარია, რომელსაც აქვს ან ერთი ან რამდენიმე წაწვეტიანებული თავი. ჭვილთი მიბმულია თოკზე. ყოველ ნავს თავისი თოკი აქვს, ხუთასი საჟენის სიგრძე. ნელ-ნელა მიეპარება ვეშაპს: რამდენათაც ახლო მივა, იმდენათ უკეთესია. როცა საკმარისათ მიუახლოვდება, მაშინ მონადირე გადისვრის ჭვილთს და იმავე წუთს ნავი მსწრაფლათ უკან დაიძვრის. ემას იმიტომ შვრებიან, რომ ხანდახან ვეშაპი, რა კი ჭრილობას იგრძნობს, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინვე გადიქნევს კუდს და, თუ ნავს ჩამოჭკრა, ან ზევით აისვრის, ან და ნაფოტებათ აქცევს. უფრო ხშირათ კი დაჭრილი ვეშაპი მაშინვე ფინდიხივით ჩაიეურჭუმელავებს და თან ჩაითრევს თოკსაც, რომელზედაც მიმაგრებულია ჭვილთი. მოხდება, რომ ვეშაპი ისე ჩქარა ჩაიეურ-ჭუმელავებს, რომ თოკი დარღვევას ვერ მოასწრებს და ხეხის გამო ცეცხლი უჩნდება, ამიტომ თოკს წყალს გადაასხმენ ხოლმე. ხან ისიც შეიძლება, რომ თოკი არ დაიშლება და გაქანებული ვეშაპი თან ჩაითრევს ნავს და საუკუნოთ დაღუპავს თავის მტერს. მაგრამ ვეშაპი დიდ-ხანს ვე გასძლებს წყალში; სუნთქვა მოუნდება, მალე ზევით თავს ამოჭ-ეოფს და მძიმეთ ისუნეშის, თან სისხლი მოშხუის ჭრილობი-დან. მაშინ კიდევ ჩაარტყმენ მეორე ჭვილთს, მესამეს, და ბოლოს სისხლით დაცლილი ვეშაპი უკანასკნელათ ამოიკ-ვნესებს და გადაბრუნდება გულ-აღმა.

მოკლული ვეშაპი ძალიან ჩქარა ფუჭდება. ერთ დღეს შემდეგ საშინლათ გაიბერება, ისე გაიბერება, რომ გასკ-დება და საშინლათ დაიქუხებს. მარა მონადირე არ აცლის დალეობას. მოკვლისათანავე მიათრევენ თოკებით და ხო-მალდს მიაბმენ; მერე მოჭრიან თავს, ზევით აითრევენ და ამოაცლიან ულვაშებს. მერე მობმული თოკებით ტანს აბრუნებენ და ამ ბრუნვის დროს აჭრიან გარედან ქონს, გადაადუღებენ და ჩაასხმენ ბოჭკებში. დანარჩენ ხორცს დაუტოვებენ ფრინველებს და ვეშაპებს. ახალგაზდა ვეშაპის

ხორცი თურმე გემრიელია. ეინულიან ოკეანეს ნაპირებზე რომ ველური ხალხი ცხოვრობს დიდი სიამოვნებით მიირთმევენ ვეშაპის ხორცს, უფრო კი ვეშაპის ბოლო მოსწონთ. გული საპატიო საჭმელათ მიაჩნიათ. ვეშაპის ტუავისაგან აკეთებენ თასმას, და ფეხსაცმლის საძირე ტუავს. სხვილ მკლებს ხმარობენ ქოხების დირეებათ. ნაწლევებს და ბუშტებს აკვრენ ფანჯრებს შუშის მაგიერ. გამხმარი ძარღვი თოკის მაგიერია. მარა უფრო მკირფასი ნივთები, რომელსაც ვეშაპი გვაძლევს, არის ვეშაპის ქონი და ულვაში. ჩრდილოეთის ველური ხალხი გადამდნარ ქონს დიდი სიამოვნებით სვლეპს. განათლებული ხალხი კი ქონს ხმარობს მაშინის წასასმელათ, გასანათებლათ, საპნის მოსადუღებლათ. ულვაშს ხმარობენ კორსეტებისთვის, მათრახის ტარებისთვის და სხვა.

ჩვენ ძიერ აწერილი ვეშაპი ჩვეულებრივი ვეშაპია, არის კიდევ სხვა ვეშაპიც. ეველაზე უფრო საშიშია კაშალოტი. ეს კაშალოტი ჩვეულებრივ ვეშაპისგან ბევრით არ გაირჩევა. ჩვეულებრივ ვეშაპს კბილები არ აქვს, კაშალოტს კი ქვემო ეაზე აქვს ექვს-ექვსი გოჯის სიგრძე კბილები. ამიტომ ეს მხეცი მეტათ საშიშია. სანამ არ გაავჯავრებს, ადამიანს ისე არ ერჩის. მარა თუ გაბრაზდა, ხშირათ თავს დაეცემა ნავს კი არა, თითონ ხომალდსაც. ხშირათ მოხდება რომ, ჯრილობისაგან გაცოფებული კაშალოტი დააფრინდება ნავს და შუაზე გადაამტრევს. აი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ აგვიწერს ამისთანა შემთხვევას ერთი მოგზაური: „დანელების ხომალდი მიცურავდა ეინულიან ოკეანეში. უეცრათ დარაჯები მიხვდენ კაშალოტი ახლოა. იმათ მოესმათ ერთგვარი სტვენა, რომელიც მხოლოთ მაშინ ისმის, როცა კაშალოტი სუნთქავს. მაშინვე ჩამოეშვა ოთხი ნავი და გასწიეს ნადირისკენ. კაშალოტი ისე მძლავრათ ხვნეშაგდა, რომ ამოვარდნილმა ორთქლმა დაჭფარა ერთი ნავი. ამით ისარგებლა მასში მჯდომმა მონადირემ და გადისროლა ჭვილთი. საუბედუროთ ჭვილთმა მარტო კანი გაუკაწრა კაშალოტს. იმავე წუთში გახელებული კაშალოტი საშინლად გაექანა ნავისაკენ. მოისმა გულის გამგმირავი ყვირილი. მხეცი წააფრინდა ნავს კბილებით, აიტაცა ჭაერში ტ შუაზე გადამტვრეული ნავი ჩავარდა ოკეანეში. ოფიცერი, რომელიც უკან იჯდა, გადავარდა შორს ზღვის ზვირთებში, მეჯვილთე ზედ ცხვირზე დაეცა კაშალოტს. სხვა ზღვაოსნებიც ყველა გადაცვინდენ ზღვაში, მარა დახრჩობით არავინ დამხრჩვალა; მიცურდენ და სხვა ნავებში ჩასხდენ. იმათ ის ენანებოდათ, რომ ნადირი დაჭკარგეს, მაგრამ დიდ ხანს არ უცდიათ, კაშალოტი ხელ-ახლა გამოჩნდა და მაშინვე სიცოცხლე მოუსპეს. ამ ბოლო დროს ხომალდებზე შემოიღეს ზარბაზნები. ეს ზარბაზნები ეუმბარის მაგიერ ჭვილთებს ისვრიან. ამით ვეშაპები იმდენი გასწყვიტეს, რომ შეეშინდათ, ვაი თუ სულ მოისპოსო. და ამიტომ დღეს კანონის ძალით აკრძალულია რამდენსამე თვეს ვეშაპზე ნადირობა.

პეტრე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნების გამოცხადება.

(შეგირდის დღიურიდან)

ელს 18 მაისს დაგვიბარეს მოსწავლეები სკოლაში ნიშნების მისაღებათ. 8 საათი არც კი იყო, რომ ყველა შეგირდები მოუთმენლათ ველოდით მასწავლებლების მოსვლას. ემაწვილები სხვა-და-სხვა გუნებაზე იყვენ: ვინც დაბეჯითებით იცოდა, რომ შემდეგ კლასში დაუბრკოლებლივ გადავიდოდა, ის კვლანვინდებულზე უფრო მეტათ ხუმრობდა და თამაშობდა, რომლებიც ეგზამენზე სრულებით არ მიუშვეს მათგანი, ზოგი გულგრილათ უყურებდა სხვების დარდსაც და მხიარულებასაც, რადგანაც თავიანთი ბოლმა აწუხებდა მათ, ზოგს კი მოენელებინა კიდეც შერცხვენა მშობლებთან და ამხანაგებთან თავდავიწყებული ხტუნაობდა და გადადიოდა ეირამალას. მხოლოთ საეჭვონი, რომელთაც სწორეთ არ იცოდენ ეგზამენზე ორი მიიღეს თუ სამი, —წუხდენ და შფოთავდენ, არ იცოდენ რა უნდა ექმნათ; სულ ნიშნებსა და მასწავლებლებზე ლაპარაკობდენ... ამასობაში მასწავლებლებიც თითო თითოთ იკრიბებოდენ. თითქმის 9 საათი იქნებოდა, რომ ვიღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაც დაიძახა: „ნიშნებს აცხადებენო“. ჩვენ ეველანი სამასწავლებლო ოთახისაკენ გავექანეთ. მართლაც მალე გამოვიდენ მასწავლებლები ოთახიდან. ეველა მათგანს თავისი კლასის შეგირდების მოწმობანი ეჭირა ხელში. ახლა კი მეც და ეველა ჩემ ამხანაგებსაც გულები აგვიკანკალდა, სახეზე ალმურმა გადაგვკრა. უცბათ სამინელი სიჩუმე ჩამოვარდა. ჩვენმა მასწავლებელმა დაიწყო გვარების ამოკითხვა და ნიშნების დარიგება. ეველანი ფეხ აკრეფით მიდიოდენ მასწავლებლებთან, ჩამოართმევდენ ხოლმე ორათ მოკეცილ ქაღალდს, რომელშიაც ნიშნები ეწერა, და სწრაფათ უკან ბრუნდებოდენ. ზოგი ვერა ბედავდა ნიშნების გადაშინჯვას კარგა ხანს, ზოგი კი მაშინვე გადააბრუნებდა ხოლმე მოწმობას და უსიტეოთაც ემჩნეოდა სასიამოვნოს ამოიკითხამდა თუ სამწუხაროს. ჩემი ჯერიც მოახლოვდა, გულმა ბაგი-ბუგი დამიწყო. მგონია თვალებიც ამიჯრელდა, მაგრამ ჩემი გვარი რომ ამოიკითხა სწრაფათ მივვარდი მასწავლებელს, ჩამოვართვი ნიშნები და განზე გავექანე. ჯერ მემნელებოდა მოწმობის ნახვა, მერე კი გავბედე, გადავშალე და მარჯვენა მხარეს დავხედე, სადაც წავიკითხე: „გადასულია მეორე კლასში“, მაგრამ გული ადვილათ ვერ დავაჯერე: მეორეთა და მესამეთ სულ ჩათვლით ამოვიკითხე ეს სასიამოვნო სიტეეები: გა — და — სულია... ამ სობაში ამხანაგები შემომეხვიენ და ჩემ ნიშნებს კითხვა დაუწეეს. ზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი აღტაცებული იძახოდა: „გადასულხარ“!.. ზოგი ხელიდანა მგლეჯდა მოწმობას, რომ თითონ კარგათ გადაეშინჯა და თან სხვებისთვისაც ეჩვენებია. მეც ავიღე და მივეცი ნიშნები ერთ უფროს ამხანაგთაგანს. ახლა კი თავისუფლათ ამოვისუნთქე. თავი ავიღე მაღლა და გავიხედე იქით, სადაც მასწავლებელი იდგა, მაგრამ იქ ვეღარავინ დავინახე, ნიშნების დარიგება გაეთავებინა. შეგირდები ჯგუფ-ჯგუფათ იდგენ და ნიშნებსა შინჯავდენ. მე ხან ერთ ჯგუფს მივარდი ხან მეორეს, რათა გადამეთვალიერებინა ამხანაგების ნიშნები. ჩემ ამხანაგებს ზოგს შემდეგ კლასში გადასვლა უხაროდა, ზოგი დარჩენასა ტიროდა, ზოგი ხელმეორეთ გამოცდას და ნიშნების სიმცირეს წუხდა...

ამ დროს აივანის ბოლოდან შამომესმა გიგოს მაღალი ხმით ტირილი; ისე მოთქვამდა გეგონებოდა მოკედომია ვინმეო: „ეგ უსამართლოები, ეგენი! რაზე დამანარჩუნეს, მე სხვაზე რითა ვარ ნაკლები?! თუ უნდათ ახლავე უველაფერი მკითხონ, რაც გვისწავლია“... და ვინ იცის კიდევ რას არ ამბობდა საწყალი!

იქვე ახლოს ჩემ გვერდით მეორე მოსწავლე ვანო, მალზე იფუფქებოდა, ჩუმათ ხმის ამოუღებლათ წყაროსავით დიოდა ცრემლის ნაკადული. გავუშინჯე მოწმობა: „გადასულია“ ეწერა, ახლა კი ძალიან გამიკვირდა იმისი ტირილი და მიზეზი ვკითხე. ვანოს თუმცა უჭირდებოდა თქმა, მაგრამ მაინც სლოკინით წარმოთქვა: — „ქართულში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი დაუწერიათ!. მე კარგათ ვუპასუხე, ოთხი მეკუთნოდაო"! მე გამეცინა და დასამშვიდებლათ ვუთხარი: ხომ გადასულხარ და რაღა გატირებს მეთქი.

ბოლოს უურადღება მივაქციე ჩვენ დათას, რომელიც მუდამ დაღვრემილი და გაუხარებელია: წარმოიდგინეთ, თერთმეტ თორმეტის წლისაა და თამაშობა ისე ეჯავრება, როგორც ჭირი. აი, ის ჩვენი დათა, მუდამ დაღვრემილი, ახლა უფრო მეტათ დაღონებულიეო: ჰირი ძალზე მოეკუმა, მუშტები მაგრა მოეკუმშა — ეტეობოდა, რომ მწუხარებისაგან ძლივს ბუებუებდა. მე მივხვდი, რომ ეს ბოღმა უმიზეზო არ იქნება მეთქი და მაშინვე ნიშნები ვკითხე. დათამ ახლა კი გახსნა მოკუმული ჰირი და გულ ამოსკვნით დაიწეო მოთქმა, თუმცა ერთი მასწავლებელთაგანაც მახლობლათ იდგა: „ეჰ, რა არის ამისთანა სიცოცხლე... ნეტავი ერთი მოვკვდე და მოვისვენო. ვცდილობ, დღე და ღამ არითმეტიკასა ვწავლობ, მაგრამ თავში მაინც არა შადისრა, არ იქნა ერთი სამი ვერ მივიღე!.. რა ვქნა, რა წეალში ჩავვარდე"!

ამასობაში უმაწვილები დაწუნარდენ. გარედან მოსიარულეებმა შინისაკენ მოკურცხლეს. გიგოც კი დაჩუმდა, როდესაც დაჰედა, რომ ტირილისაგან არა გამოდიოდარა; ჰატარა ხანს შემდეგ კი მხიარულათ ბურთაობაშიც გაება.

ნამტირალევი ვანო სახლში დაეთხოვა აღმზრდელს, ხოლო ჰატარა დათა დაღონებული ტ დამძარებული ბოლთასა სცემდა გრძელს აივანში, წინანდებულათ ჰირმოკუმული.

საღამოთი ვანო კიდევა ენახე ცოტა ხნობით და მითხრა, რომ ნიშნები ცეცხლში დავწვიო. მირზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკვირველეგანი გუნებისა.

№ 17.

მწერიჭერია (Dionea murapula)

ეს არის ერთი ჰატარა მცენარე. იცის ჩრდილო-ამერიკის აღმოსავლეთის მხარეს; ხარობს უფრო ჭაობ ადგილების ნაპირებში. ეძახიან მას სახელათ მწერიჭერიას და ამ სახელწოდებაში გამოიხატება სრულიად მისი ზნე, მისი ხასიათი.



მწერიჭერია.

უველაზე საკვირველი ნაწილი ამ მცენარისა არის ფოთოლი; ფოთოლი არის იმისი ხელიც, ჰირიც და კუჭიც. ფოთლით იჭერს ის მწერს, ფოთლით სჭამს, ფოთლითვე ინელებს.

აი, იმისი სურათიც და აბა უფრო უკეთ დავათვალიეროთ მისი ფოთლები.

ფოთლები მას მირში აქვს გარეშემო შემომწკრივებული და თითქმის მიწაზე დაფენილი. თითო ფოთოლი შესდგება ორი ნაწილისაგან: ჰირველი არის გრძელი ტ ძალიან განიერი, — ეს არის ფოთლის უუნწი, თუმცა კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ჰგავს ჩვენებური ფოთლის ეუნწებს; მეორე-კი, მომრგვალებული ნაწილი, ნამდვილი ფოთოლია. ფოთოლს ზედ შუაზე მ.ისდევს ერთი სიგრძის მარღვი. ეს მარღვი ჰყოფს ნამდვილ ფოთოლს ორ ტოლ ნაწილათ და ეს ორივ ნახევრები ფოთლისა მუდამ ისეა გადაშლილი, როგორც ნახევრათ გახსნილი წიგნის ფურცლები. ფოთლის თითო ნახევარს გარს შემომწკრიებული აქვს ხერხის კბილებივით ოცამდე წვრილი წკვერტი; შიგ შუაშიაც უზის თითო ნახევარ ფოთოლს სამ-სამი სხვა წკვერტი, უფრო მაგრები და უფრო მოზრდილები.

რომ აიღო ეს ფოთოლი ხელში და აქანაო, რამდენიც გინდა, რომ დაჯიჯგნო კიდეც ხელში მისი, ფოთლის მზგავსი, ეუნწი, რომ დაჭკაწრო და დაჭსერო ზურგის მხრიდან თვით ნამდვილი ფოთოლიც, — არ გეგონოსთ, რომ მან აინუნში მოიტანოს; არავითარი ცვლილება მას არ შეემჩნევა.

მაგრამ აგერა მობზუის უგუნური, თავხედი ბუზი. იბზუილა, იბზუილა, დასტრიალა ამ მცენარეს, დასტრიალა და დაჯდა ფოთოლზე. ფოთოლი ჯერ არაფერ ამბავშია. ბუზი შედგა ფეხით ფოთლის მარღვებს: ფოთოლმა რაღაც იგრძნო, ატოკდა, აკრჭოლდა და ასწია ზევით ნელნელა თავის ნახევრებს. აი, შეეხო გაუფრთხილებელი ბუზი ახლა თვით ფოთლის შუაგულ წკვერტსაც, მაშინ ფოთოლმა მოსწია ერთბაშად ორივე ნახევარი და ჩაიკეტა;

ნაჰირის წკვერტებიც, როგორც ორივე ხელის თითები, ერთი მეორეში ვაეუარა და მოემწუვდა შიგ უბადრუკი ბუზი, როგორც ჩიტი კაკანათში.

ასეთი ზნე სჭირს ამ ფოთოლს: თუ შეეხო რამ მის მარღვს, ფოთლის ნახევრები ნელ-ნელა აიწევს ზევით და ისე ნელ-ნელა დაიკეტება; ხოლო თუ შეეხო რამ მის ერთ-ერთ შუაგულ წკვერტებს, ფოთოლი საფანგიოვით ერთბაშათ, საჩქაროთ იკეტება.

ამასთანავე თუ, ვინიცობაა, დაკეტილ ფოთოლს შიგ არა მოჰყვარა და ან თუ მოჰყვა კიდეც, მაგრამ საჭმელათ გამოუსადეგარია, ფოთოლი ისევ ჩქარა იხსნება და ათავისუფლებს შეცდომით შეპყრობილ ჰატიმარს. ხოლო თუ მოიგდო ხელთ ისეთი რამ, რაც მას საჭმელათ გამოადგება, ფოთოლი უფრო მაგრათ იკეტება, უფრო და უფრო უჭერს, სანამ შიგ არ გამოჭყლეტს თავის უბედურ მსხვერპლს. მაშინ ფოთოლი გამოუშვებს მარღვების შიგნითი ჰირიდან ერთნაირ ლორწოს და, ვიდრე სრულიად არ მოინელებს და არ შესწოვს, აღარ გაიხსნება.

ასეა ხოლმე დაკეტილი ხან ერთ, ხან ორ, ხან სამ კვირასაც. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რამოდენა და როგორი მოსანელებელი სულდგმული მოჰყვა მის მახეს.

გაათავებს ფოთოლი საჭმელს, მოინელებს სრულებით და ისევე გადიშლება; მზათ არის კვლავ სანადირო, ელის უგუნურ მწერს, რომელიც მუდამ თავისი ფეხით იახლება მას შესაჭმელათ.

ლადო ადნიაშვილი.



მგლების ნადირობა.

(ნამდვილი ამბავი)

რტიშის მდინარეზე ხომალდი დინჯათ მიგვაცურებდა. თიბათვის დამლევი იყო. ირაჟრაჟა და გამოჩნდა ხომალდიდან ქვიშა-ფენილი ნაპირი მდინარისა. ირგვლივ ქვიშიან ალაგს იქით ჩიგვნარი იყო, ჩიგვნარს იქით ტყე იწყებოდა. თფილი დღე დადგა, მოწმენდილი. მარჯვენა მდინარის ნაპირას დავცქეროდით, — დაცემულათ და თვალწინ-გაშლილათ მოჩანდა იგი. უცებ ჩვენი ყურადღება მიიქცია ჩიგვნარიდან გამოსულმა კურდღელმა, რომელიც ცხადათ წყალის დასალევათ წამოვიდა პირდაპირ მდინარისაკენ. თითონ ეს ნაპირი ცოტათ დაფერდოებული იყო და კურდღელი მდინარისაკენ მოცუნცულებდა. ჯერ კიდევ წყალზე არ მისულიყო სუსტი ნადირი, რომ ისევ იმ ჩირგვიდან გამოვიდა ორი მგელი; ფრთხილათ, ქუჩდულათ, ყურწაცქვეტილები, იმ სახით, რომ ორივეს ცხადათ ეტყობოდათ, რაცა სწადდათ. მივხვდით, რომ მგლებს კურდღელის შეჭმა უნდოდათ. ჩიკვნარიდან ორივე მგელი წინ წამოდგა, ერთათ შეჩერდენ და, თითქოს ერთმანეთს ხერხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამხილესო, ერთი მგელი იქვე გაბრუნდა და დიდ ბუჩქს მოეფარა ისე, რომ ჩვენ ველარ ვხედავდით და ვერც კურდღელი დაინახამდა. მეორე მგელი ჩიგვნარს მარცხნივ გაჰქვა, მირბოდა დაფარულათ, ტან-ჩაღუნულ და ფეხაკრეფით. ასე წაურბინა, მდინარისკენ დაეშვა, უცებ შეუტია და— მდინარის პირპირ ისარივით გაექანა კურდღელისაკენ. კურდღელმა თვალი მოჰკრა თუ ეური,—უცებ შეჭხტა და მოისხლიტა ჩირგვნარისაკენ, მხოლოდ ისე რომ ჩასაფრულ მგელს ალმაცერათ გზას უხვევდა. მგელმა მოურბინა და კურდღელს მიმართულება აცვლევინა. ამან ახლა მეორე მხარისკენ გადაუხვია და გარბის... მაგრამ ვაი თქვენ მტერს, რომ კურდღელი ველარას ჭხდება, მგელი ნებას აღარ აძლევს საფრთხეს ასცდეს, იმ საფრთხეს, რომელიც ასე ხერხიანათ წინ დაუგეს. ეს მოხდა უცებ,— მიმდევარ მგელმა კურდღელს აქეთ და იქით ურბინა და ისე ატრიალა, რომ ზედ პირველი მგლის საფარ ჩირგვზე მიიყვანა, ასე გეგონებოდათ ყელზე ბაწარი უჭერია და წინ გაუგდიაო. მიზანი მიღწეული იყო: ჩასაფრული მგელი გამოხტა და კურდღელი მას ძიგ დაღჭენილ კბილებში ეცა. ზედვე მიასწრო მომდევარმა მგელმა და აქედან იმან სტაცა პირი; გასწი-გამოსწიეს ორივემ და ჩვენ თვალწინ ორათ გაგლიჯეს კურდღელი...

იცოცხლეთ, რომ მე კურდღელი შემებრალა... მოვიხდომეთ მგლების „ბუნებრივი ნადირობის“ შეფერხება,—

ვიუვირეთ არი-ქა თოფი, თოფი! ვისა აქვს თოფიო?!, და თან თვალს ვერ ვაშორებდით ნადირობას... ჩვენმა კაპიტანმა თავის თოფის ამოტანა „კაიუტიდან“ დაგვიანა; მგლები რაღას გაჩერდებოდენ, სად მოუცდიდენ ადამიანის მსჯავრს, თავისი აღასრულეს და ტუეს შეაფარეს თავი.

იშვიათი შემთხვევა იყო მგლების ასე აშკარათ ჩემ თვალწინ ნადირობა და ამიტომ გავკადნიერდი და ეს ნამდვილი ნახული მოკახსენეთ თქვენ, „ჯეჯილის“ მკითხველებს. თუ მოგეწონებათ, მაშინ კიდევ შევჭამდებით ერთმანეთს.

მ. მეშენგელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საშოგლოსთვის თავდადებული.

რთ დროს, რუსეთის სახელმწიფოს შავი დღე ადგა. ყოველი მხრიდან მას მტერი ეხვია, დღე-ღამ მოსვენებას არ აძლევდა და დამხობასა და ჩანთქმას უქადდა. ერთხელ ერთი ამ გვარი მტრები, სახელათ ჰეჩენეგები, დაეცენ რუსეთის ქალაქ კიევს; შემოერტყენ გარშემო, მოიმწყვდიეს იქაური მკვიდრნი და განძრევის საღსარი აღარ მისცეს. ვეღარც გასვლა მოახერხეს ქალაქიდან და ვერც ამბის გაგზავნა. ხალხი შიმშილითა და წყურვილით იხოცებოდა. იქაური მდინარე დნეპრის გაღმა მცხოვრებმა—რუსებმა სცადეს ნავებით კიევში მისვლა; მაგრამ შიშით ვერც ეს მოახერხეს და იქაური ამბავიც ვერა გაიგესრა. სასოწარკვეთილმა კიეველებმა აღარ იცოდენ, რა ექნათ! ბოლოს ერილობა მოახდინეს და გამოაცხადეს: „ნუ თუ არავინ მორჰოვება ჩვენში ისეთი მოხერხებული და გაბედული, რომ წავიდეს და აცნობოს გაღმაველებს, რომ ი.უ ხვალ არ მოგვეშველებიან, მტრებს უნდა დავმორჩილდეთო?!“ წინ წამოდგა ერთი ჰატარა ბიჭი და გაბედულათ თქვა: „მე გავალ გაღმაო“! და მართლაც, აიღო ხელში აღვირი, გამოვიდა ქალაქიდან, მტრების ბანაკისკენ გასწია და ჰკითხულობდა: „ჩემი ცხენი ხო არავის გინახავთო“? ის ჰეჩენგების ენაზე ლამაზათ ლაპარა-

კობდა და ამიტომ მტრებს თავისიანი ეგონათ, ვერაფერი ეჭვი ვერ აიღეს. მდინარეს რომ მიატანა, უმაწვილმა იძრო ტანისამოსი, გადაეშვა ზღვა წყალში და ცურვით გაღმისაკენ გასწია. მტრებმა რომ ეს დაინახეს, გამოუდგენ, დაუწყეს სროლა, მაგრამ ვერა დააკლესრა, რადგანაც გაღმიდან იმას თვალი მოჭკრეს, ნავით მიეშველენ და მშვიდობით გაიყვანეს. უმაწვილმა გააგებინა ხალხს კიეველების გაჭირებული მდგომარეობა და უთხრა: „თუ ხვალ არ მიეშველეთ, უთუოთ მტრებს დაემორჩილებიანო“. მეორე დღეს, ღილა ადრიან, ჩასხდენ ნავებში და საყვირის კვრით გასწიეს ქალაქისაკენ. კიეველებიც სიხარულით მოეგებენ. მტრებმა იფიქრეს, თვით მეფე მოდის ჯარითო და თხებივით აქეთ-იქით გაიფანტენ. ასე გადაარჩინა ჰეტარა ბიჭმა თავისი ხალხი განსაცდელსა და დედოფალი ტყვეობას!..

თეოფ. კანდელაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეცნიერო გასართობი.

№ 7

ეშმაკის მოვლინება.

აქ არის დახატული ერთი უკუდო ეშმაკი. მუცელზე, ჯიბის ადგილას, შავი ხალი აქვს. დაიდე ეს სურათი წინ და უცქირე დაშტერებით იმ შავ წერტილს. როდესაც თვალი დაგეღალოს, ასე ერთ წამს შემდეგ, მოიღე კისერი გვერდზე და დაცქერდი თეორს, დაუწერავ ქაღალდს. რამდენსამე წუთს შემდეგ ახლა ამ თეთრ ქაღალდზე გამოგეცხადება ის ეშმაკი, ხოლო იმ განსხვავებით, რომ თითონ ეშმაკი შავი იქნება და მისი შავი ხალი და მის გარშემო შავი ადგილები თეთრათ გეჩვენება.

შეიძლება ამ ეშმაკის მაგიერ დაიდვა თვალ წინ კიკო თხილის გულისა (სათამაშო ქაღალდი, ბანქო) და მერე, როდესაც თეთრს ქაღალდს დააშტერებ დაღალულ თვალებს, იქ მოგეევლინება ის კიკო, ხოლო წითლათ-კი აღარ — მწვანეთ.

ბორა.

საჩივარი მებაღეზე.

(იგავი)

ბატონი თავის მებაღეს მსაჯულთან ზარალს უჩიოდა: — ამის დაუდევრობისა და მოუვლელობის გამო ბაღი სრულიად გამიოხრდა, გამიტიალდა: ხე ნაყოფს აღარ იბამს, ღობე აღარსად ჩანს, გასავალი ბევრია, შემოსავალს კი ვერ ვხედავო.

მსაჯულმა მებაღეს ჰკითხა:

— თავს რითი მართლულობო?

— შენი ჯირიმე, მსაჯულო, მიუგო მებაღემ: ჩემი ბატონი ტეუილს მოგახსენებს: ჩემთვის ჯამაგირის მოცემა არა სურს და მიზეზებს იმიტომ ეძებს; ჩემი ერთგულობა, შრომის-მოყვარეობა, პატიოსნება და გულ-კეთილობა ყველას კარგათ მოეხსენება და ჩემს დღეში არც მომდურავი ვინმე ყოლია, და თუ ახლა შევიქენ ავი კაცი, ეკითხოს ამ მოწმეებს: გავმტუნდე — გაღამახდევინე, გავმართლდე — ჩემი მომეცესო.

მოწმეებათ წარდგენ: ღორი, კამეჩი და ვირი.

ღორმა მსაჯულს მოახსენა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეს მებაღე რომ ძლიერ პატიოსანი და გულ-კეთილი კაცია, მე იქიდან ვიცი. რომ ზოგჯერ ბაღში ორისამი დღე ზედი-ზედ მისეირნია, კვალი არ დამრჩენია გადაუთხრელი, ძირიანათ ათასი ხეხილი ამომიგდია, უველა კუთხეში ჩემი დინგის ნასახი დამიტოვებია და მაიხც მე ამისგან წუენა და უსიამოვნება არ მახსოვსო.

კამეჩმა მოახსენა:

— ოთხსავ მხრიდან ღობე არ დამრჩენია გადუტეხელი: ათასჯერ შევსულვარ ბაღში, ეოველთვის მუცელი სვავივით ამომიეორავს და მებაღეს ჩემთვის არც დაუშლია, არც ავი სიტყვა უკადრებია; მაგისთანა გულ-კეთილი ადამიანის მნახველი არა ვარო.

ბოლოს ვირმა უმოწმა:

— მებაღის გულ-კეთილობა და სტუმარო-მოყვარეობა იქამდის დიდი იეო; რომ ბაღს ერთი კარის მაგივრათ ორმოცი გაუკეთა, ერთი მხრიდან ბაღში შევდიოდი, მეორედან გამოვდიოდი; ჯამით რომ ბაღში გულს ავისრულებდი, შიგვე ბაიათს შემოვმახებდი და ეს მებაღე დამშლელი არ იეო, ამის მომდურავი მთელ ჩემ გვარში არავინ გამოვაო.

რა მსაჯულმა მოწმეების ჩვენება მოისმინა, ასეთი განაჩენი დაადგინა:

რადგან მებაღე თავის პატიოსნებას, გულ-კეთილობას და მხნეობას იმითი ამტკიცებს, რომ ბაღი ღორების, კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეჩების და ვირების სარბიელათ გაუხდია, ამიტომ გარ-
დახდეს მას ბატონის სასარგებლოთ ორმოცდა-ათი თუ-
მანი და ერთი თვითაც ციხეში დამწყვდეულ იქმნასო.

ალ. მ—შვილი.



პატარა ხუროები.

ასომ და მიშამ ხუროს ხელობა გამოიჩინეს და სახლები უნდა აეშენებიათ. დაუწყეს თლა ნაფოტებს და შეუდგენ ხუხულების კეთებას.

— ეჰეეი, მიშა, უნდა იცოდე, რა სასახლეს წამოვჯიმავო! უთხრა ვასომ: უშველებელ ორ სართულიან ოდას დავდგამ; ნამდვილი ქვა-ტალახის ბუხრებს და შუშებიან ფანჯრებს დავატან; ბუხრებში ჩინჩხვრებით ცეცხლს დავანთებ, რომ ბოლი მაღლა მილებში ამოდიოდეს! მეორე სართულზე ასასვლელ კიბეებსაც მივადგამ! ოთახებში ტახტებს, სკამებსა და მაგიდებს ჩამოვამწკრივებ. სასახლის გარშემო ეზოს ტერუშულ ღობეს შემოვავლებ, ჭიშკარსაც დავატან და შუა ეზოში ჭასაც ამოვიყვან. ახ, ნეტავი სათამაშო ხარები მაინცა მყავდეს, რომ სამნე ურემიც გავაკეთო და ეზოში დავაყენოვო!"

ვასო კიდევ დიდხანს ტიტინებდა ასე სხვა-და-სხვა რამეებზე. ამ დროს მიშა თლიდა და თლიდა გულმოდგინეთ ნაფოტებს და მასალებს ამზადებდა. იმან ერთი ოთახი კიდეც გაათავა და გადახურა. ვასომ კი ჯერ-ჯერობით ვერაფერიც ვერ გააკეთა...

თეოფ. კანდელაკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხ ა ლ ხ უ რ ი.

(გაგონილი მაია ახობაძის ქალისაგან; ჩაწერილი ლადო იაშვილისაგან)

ეს რომ მკათათვემ შეიტყო,
მუხლზე დაიკრა ხელია:
— ნეტამც არ იყო, თიბათვევ
ყბედი და საძაგელია;
როცა რომ ავდარს დაიწყებ—
გამოდარება ძნელია!
სიმინდი თივით საესეა,
ღომიცა უმარგლელია.
მოდი და ახლა მიყურე
თუ არ ვარ საქმის მქნელია?
აბა ბიჭებო მიშველეთ —
ბევრი მაქვს ღვინო, ყველია...
ისე გაეწმინდო ყანები,
ვერ ნახოთ თივის ღერია.
სინამდის მე წავიდოდე
დავსტოვო თავს საყრელია.



ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან).

თათარი სხვის ტომარას თავის ჩვარს ეძახდაო.

—

ძაღლი ახსენეო—ჯოხიც გვერდზე მოიდეო.

მდიდარს უთხრეს „მშვიდობაშიო", ღარიბს
ჰკითხეს „ვინ მოგცაო"?



ეროვნული ბიბლიოთეკა

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(ქართლში გაგონილი თ. რაზიკაშვილისაგან).

ცეცხლია, ნაპერწკალია,
ამბედს არ მოეკიდება,
იგი უფასო ლალია,
საჭურჭლეს არ ჩაიდება,
ცუდი რამ საქონელია,
პატრონს არ გამოადგება.

ხალიჩაში გაეხვევი,
გაეგორდები კიტრსავითა,
ხალხსა ისე ეათამაშებ,
ჭიანურის სტვირსავითა.

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან).

ჩრდილში ვიჯექ, ქარმა ხიდან ჩამოაგდო ერთი რამე, თავს დამეცა, დამაყვირა, მწარეთ მამხედა, ტკბილათ ეჭამე.

ა ნ ა გ რ ა მ ა

პირველი — თეთრი მიწაა,
კალატოზები ხმაროობენ.
მეორე — ბუჩქის ძირია,
მინდორ ტყეებში ხაროობენ.
ორიეს ოთხი ასოთი
დაწერას მოაგვარებენ.

საეთემატიკო გამოცანა.

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან.)

ბატონმა თავის მსახურს ერთი მანეთი მისცა, ამ უკანასკნელს უნდა ეყიდნა: — ვაშლები, ბროწეულები და ფორთოხალი, სულ ოცი ცალი. ვაშლები თითო კაპეიკათ, ბროწეული თითო აბაზათ და ფორთოხალი თითო შაურათ. გამოიცანით რამდენი ბროწეული, რამდენი ვაშლი და ფორთოხალი უყიდა მსახურმა ბატონს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა კ რ ო ს ტ ი ხ ე ბ ი.

(წარმოდგენილი ვაჟა-ფშაველასაგან).

იალაღზე სძოვს ლამეობითა,
რა გათენდება ტყეს ეფარება;
ერთი იმისი თვალით დანახვა
მოუწყინარი არს ნეტარება;
იმისი რქები, ბორჯღლიანები,
ალაჩოღივით ტანს ეფარება.

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან).

ჭეშმარიტების მოსიყვარულე,
ადამიანი, მგოსნათ შობილი,
ლექსის მღერალი, საერო ჩანგზე
ალერსიანათ, ხმა შეწყობილი.
დადუმდა ენა, გაცივდა სისხლი...
იგლოვს ქართველი იმის სიკვდილსა,
დიდათ ნიჭიერ კაცის დაკარგვას,
ენა წყლიანსა, მამულის შვილსა!
ლოცვა, კურთხევა, შუქი ბრწყინვალე,
იმის დიდებულ წმიდა აჩრდილსა.

შ ა რ ა დ ა.

პირველი არის სახელი
კაცისა დიდ ძლიერისა,
წარლვნის დროს ვინცა კიდობნით
მიმოველო კიდე ქვეყნისა.
მას მიუმატეთ ის ასო,
რომლითაც ეუხმობთ მშობელსა;
მისი სახელის მოთავეს
პირველსა დასაწყებელსა.
შემდეგი სიტყვა ყველგან არს,
აქა თუ საიქიოსა;
სადგომი მონასტერში აქვს,
რომ ღმერთი მან ადიდოსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ ერთათ თეესა მიიღებთ,
რომლით იწყება ზამთარი,
იმ თეეში მაინცა ცივა,
ბეერიც რომ მისცეთ შაქარი.

უჯრების ამოცანა.

(წარმოდგენილი შალვა ტატიშვილისაგან).



ამ უჯრებში ჩასეით შემდეგი ასოები, რომ გამოეიდეს რომელიმე ქართული ანდაზა: ჯ, ო, ბ, ი, რ, ა, ხ, ე, თ, ი, ე, ო, რ, ძ, ა, ნ, ო, დ, ე, რ, ო, ხ, ე, ა, ს, ე, ხ, ო.

რ ე ბ უ ს ე ბ ი

1.



ჯ ,

,

ძ  ,

ძ შ | უდედმამო ბავშები. |

ს ს | ყვავილი. |

ა



ს , ე



, ი ს 3 , | 25 დეკემბერი. | ,

ვ | წოდება სალხისა | ,



, 10 , | უარის ნიშანი. | ,

ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.

(წარმოდგენილი იოსებ ჩხატარაშვილისაგან)



№ VI გამოცანებისა.

გამოცანები: 1) ცხენი და კაცი, 2) ხე კაკუნა, 3) კანაფის მცენარე.

ანაგრამა: ზარი—ზირა.

აკროსტიხი: სამშობლო.

რებუსი: გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი.

რებუსი ახსნეს თფილისში: სათაოდ აზნაურო სკოლის მეორე განყოფილების მოსწავლე დიმიტრი დეკანოზიშვილმა, დ. ლანჩხუთში: მიხ. კალანდარაშვილმა, ელად. მენალარიშვილმა, და ივ. ბარამიძემ.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.